ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 14 თებერვალი, 2023 №31 (9067) ფასი: 80 თეთრი

გვ.2

ძლიერი აფეთქება ბათუმში

სუს-ის ყოფილ მაღალჩინოსანს ტყვია გულში აქვს მოხვედრილი

გვ.5

„საპკაშვილს ხაბეიშვილის მოწყობილი ცირკის არ სჯერა“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიცია მიეჩვია ფუფუნებას, სტეიკის ჭამას. ტრენინგი კი არ უნდა ჩაუტარონ ხალხს, მჭადი უნდა ჭამონ მათთან და მერე გაიგებენ, მოსახლეობას რა უნდა!“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ირაკლი კობახიძე შეიძლება არის კარგი კონსტიტუციონალისტი, მაგრამ პოლიტიკაში აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს“

„მერაბიშვილიც და კეზერაშვილიც კარგად დავიწყებული ახალი სახეები არიან“

„თურქეთის მიწისძვრა მოსალოდნელი იყო“

გვ.3

თეა გოდოლაძე: „თბილისის გეოლოგია არ არის ისე მოწყობილი, რომ დიდ დატვირთვებს გაუძლოს, ცათამბჯენების აშენება დაუშვებელია“

„ლუკაშენკოს, სავარაუდოდ, ბელარუსში გაასამართლებენ“

გვ.3

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო ბიზნესის კეთების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცა, 2022 წელს 10.5%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა“

გვ.5

რა მოხდა გუდაურში?!

გვ.5

ექიმებმა პოლიტიკოსს მუცელში მაკრატელი ჩაუტოვეს

გვ.7

შერმადინის კიდევ ერთი ტიტული

1993230720223

2 ლევან ხაბეიშვილი: „წულუკიანის სახელს ასე დიმახსოვრებს ისტორია — „ჯალა-თია“

5 „რწმენისა და კულტურის წყალობით ინარჩუნებთ ოპტიმისტურ განწყობას“ — რომის პაპი ქართველებს

5 ატენის ქუჩაზე მანქანა დაიწვა

6 კიევში გენერალ ვატუტინის ძეგლი აიღეს

„სააკაშვილს ხაბეიშვილის მოწყობილი ცირკის არ სჯერა“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიცია მიეჩვია ფუფუნებას, სტეიკის ჭამას. ტრენინგი კი არ უნდა ჩაუტარონ ხალხს, მჭადი უნდა ჭამონ მათთან და მერე გაიგებენ, მოსახლეობას რა უნდა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით ოპოზიციის ახალ სტრატეგიაზე? ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარე საპარლამენტო მუშაობაზე უარს ამბობს და ქუჩის აქციებით იქცევს თავს. რა შედეგს მოიტანს მათი აქციები?

– რა შედეგებს მოიტანს, მე მგონი, ყველანი კარგად ვხვდებით და საზოგადოების განწყობაც გასაგებია. ჩატარდა აირაის კვლევა და გამოჩნდა, რომ კატასტროფულად არის დაცემული ოპოზიციის რეიტინგი. ხელისუფლების რეიტინგიც არაა მაღალი, მაგრამ ეს სიტუაცია ხელისუფლებას უფრო აწყობს. არჩევნებზე ხალხის დიდი ნაწილი თუ არ მივა, საბოლოო ჯამში, ძალიან მარტივად მოიგებს. სხვა თუ არაფერი, ადმინისტრაციული რესურსი ხელისუფლების ხელშია. ასე რომ, ამით ყველაფერი ნათქვამია. პატარ-პატარა აქციებით რას შეაწუხებენ ხელისუფლებას, მე არ ვიცი. ვიღაცას მიუვარდებიან, დაბულინგებენ და დაიკივლებენ, ეს რა შედეგს გამოიღებს? რა თქმა უნდა, არაფერს.

– ბევრი ფიქრობს, რომ პირიქით, „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს, ახალ ბუას დახატავენო.

– კი, რა თქმა უნდა, ასეა. ეს არის მათი საქმიანობის იმიტაცია და მეტი არაფერი. აი, რაღაცა გავაკეთეთო. ცდილობენ, ანგარიში ჩააბარონ ვიღაცას, ვისაც აბარებენ ანგარიშს.

– სააკაშვილის დასანახად კეთდება ეს ყველაფერი თუ კეზერაშვილის?

– დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს შერჩა იმდენი ჭკუა და პოლიტიკური ალღო, რომ მიხვდეს, აქედან არაფერი არ გამოდის.

– აბა, კეზერაშვილი?

– რა გითხრათ. კეზერაშვილს ისე არ ვიცნობ, როგორც სააკაშვილს. არ ვიცნობ, როგორც პოლიტიკოსს, ამიტომ არ ვიცი, რამდენად მოტყუვდება ამითი. ჯერჯერობით, რასაც ვუყურებთ, ეს ცირკია! თუ არ მოხდა რაიმე სერიოზული მოვლენა, სერიოზული გარდატეხა, ეს არანაირ შედეგს არ გამოიღებს.

– ანუ, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, სააკაშვილი ხაბეიშვილის ამ ცირკს არ ჭამს?

– რა თქმა უნდა, არ ჭამს. სააკაშვილი ალბათ დარწმუნებულია, რომ აქედან არაფერი არ გამოდის და სულ სხვანაირად ცდილობს ციხიდან თავის დაღწევას.

– სააკაშვილი ახსენეთ და ბევრი ფიქრობდა, რომ სწორედ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო და სააკაშვილს უარს ეტყოდნენ.

– მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე იქნებოდა. რაც უფრო გადის დრო, მოხდა რა? ხალხი მიეჩვია ამ განცხადებებს, რომ არიქა, სააკაშვილი ძალიან ცუდად არის და უკვე ისე აღარ რეაგირებენ ამ ყველაფერზე, როგორც რეაგირებდა 1 წლის წინ. ეს ხომ ფაქტია, ჩვენ ხომ ვხედავთ ამას? მე მგონი, პირველ რიგში, ეს არის პრობლემა. როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ ხალხი მიაჩვია არსებულ სიტუაციას. ხელისუფლებამ დრო მაქსიმალურად გაწელა, ოპოზიციამ პირველივე დღიდან დაიწყო პანიკა, რომ არიქა, კვდება, ხვალვე მოკვდება. ხალხი ამას მიეჩვია და ვნახეთ ჩვენ, კანცელარიასთან რომ მოუწოდეს მისვლა, პროცესის მერე, ძალიან ცოტანი მივიდნენ. რაღაც ახალია მოსაფიქრებელი, რამე სიახლე. ფაქტია, ძალიან სერიოზული კრიზისია ოპოზიციაში. მე ეს მაგონებს დაახლოებით იმას, რა სიტუაციაშიც იყო ოპოზიცია დაახლოებით 2010 წელს, როცა არანაირი გზა არ ჩანდა მისთვის. მაშინ ოპოზიცია გაცილებით უფრო დიდ აქციებს აწყობდა, ვიდრე ახლა. ახლა უფრო მცირერიცხოვანი აქციებია. თანაც უშედეგო.

– ვერ ახერხებს ხაბეიშვილი, რომ ბევრი ხალხი გამოიყვანოს ქუჩაში.

– ვერც მოახერხებს. ელემენტარულად, დაიღალა ხალხი! ხალხი დაღალეს ერთსაათიანი სენსაციებით და ნიუსებით. შემდეგ ეს სენსაცია ტყუილი აღმოჩნდება ხოლმე. ატეხეს ერთი ამბავი, რომ აი, საქართველო არღვევს სანქციებს, აუცილებლად დაასანქცირებენ, მერე გამოდის ამერიკის ელჩი და ამბობს, რომ არ არღვევს საქართველო სანქციებს. ამ კამპანიას გააზრება სჭირდება. არ შეიძლება ყველა კამპანია დააფუძნო ჭორებზე. საბოლოოდ ეს მთავრდება რეიტინგის დაცემით. მათ სატელევიზიო თოქ-შოუებს ხალხი აღარ უყურებს, უკვე წინასწარ იციან, იქ, ვინ რას იტყვის. დაიღალა ხალხი ამის ყურებით.

– ბრძანეთ, რომ რაღაც ახალია მოსაფიქრებელი ოპოზიციის სტრატეგიაში და რა არის ეს რაღაც? რამ შეიძლება შემოაბრუნოს ხალხის ნდობა და მხარდაჭერა?

– 2018 წელს, როცა ოპოზიციამ კინაღამ დაამარცხა საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, მაშინ ოპოზიციამ, გრიგოლ ვაშაძის ხელმძღვანელობით, ძალიან ბევრი იმუშავა ხალხთან. ყველას გულწრფელად მოუსმინა გრიგოლ ვაშაძემ. სწორედ ამის დამსახურება იყო, რომ ლამის დაამარცხეს სახელისუფლო კანდიდატი, რომლის უკანაც ამხელა ადმინისტრაციული რესურსი იდგა, სხვა თუ არაფერი. აი ესაა საჭირო, მოსახლეობაში გასვლა და მათი პრობლემების მოსმენა, შემდეგ მისი გადაჭრის გზების ძებნა. ხალხს სულ სხვა რაღაც უნდა და არა ის, რასაც ესენი ყოველ საღამოს ტელევიზორში ლაპარაკობენ.

– პარლამენტის დატოვება რამდენად სწორი იყო?

– ცხადია, ეს არაფერს არ მოიტანს, აბსოლუტურად არაფერს. მით უმეტეს, პარლამენტის წევრობასა და ხელფასებზე უარს არ ამბობენ და მაგასაც ვინ ჭამს?! მეც რომ ჟარგონით ვთქვა... ტრენინგი კი არ უნდა ჩაუტარო ხალხს, დაჯდე და ჭკუა დაარიგო. გულწრფელად ელაპარაკო, მათთან დრო გაატარო, მჭადი მათთან ერთად ჭამო. ჩვენი ოპოზიცია კი, საუბედუროდ, მიეჩვია ფუფუნებას, სტეიკის ჭამას. მჭადი უნდა ჭამონ გურიასა და იმერეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან და მერე გაიგებენ, იმათ რა უნდათ!

– რას იტყვით ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე? კვირის მიწურულს საკმაოდ მკვახე იყო ირაკლი კობახიძის განცხადებები. თუნდაც უკრაინასთან მიმართებაში. რუსეთის პოზიციები გაძლიერდაო. რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, რა უნდა?

– მეორე ფრონტის რიტორიკა აშკარად მუშაობს მოსახლეობაში და სწორედ მეორე ფრონტის რიტორიკაზეა მიბმული ეს. ხელისუფლებამ ძალიან კარგად დატესტა ხალხის განწყობა, ხალხს მართლა ეშინია ომის და აქ მეორე ფრონტის ხაზის გახსნის. ოღონდ ოპოზიციას ეს ვერ გაუგია, ხალხს რომ მართლა ეშინია ომის. ხელისუფლებამ კარგად იცის და ამიტომ იყენებს ამას მშვენივრად. ხალხს ომის ეშინია და დამთავრდა, ამით ყველაფერი ნათქვამია.

– რა შანსები გვაქვს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით? შეასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას? ან სტატუსს მოგვცემენ?

– იმედი ვიქონიოთ, რომ მოგვცემენ. ახლა, საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ასრულებს იდეალურად ამ 12-პუნქტიან დავალებას, რაღაცებს აჭიანურებს, რაღაცებს ელოდება. ამ ყველაფრის მიუხედავად, მოლდოვაც ძალიან ჩამორჩენილია და უკრაინაში კი ომია. მათ საერთოდ სად სცალიათ რეფორმებისთვის. საქმე საქმეზე რომ მიდგა და შეფასება ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ არაფრით არ ჩამოვრჩებით მათ პარამეტრებით. ამიტომ არმიცემა ცოტა უხერხული იქნება. პლუს ამას, ევროკავშირს საქართველო სჭირდება. სხვა რომ არაფერი, ენერგოკორიდორი ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლება ხვდება თავის ფასს და ამით ძალიან კარგადაც ვაჭრობს. რაც ევროპა რუსულ გაზს და ნავთობს ჩამოეხსნა, მას შემდეგ ძალიან აქტუალური გახდა კავკასიის დერეფანი. კავკასიის დერეფანი კი საქართველოს გარეშე არ არსებობს. ეს აძლიერებს ხელისუფლებას, მათი მკვახე განცხადებებიც ამით აიხსნება. მათ იმედი აქვთ, რომ პრაგმატიზმი გაიმარჯვებს და მაინც მისცემენ საქართველოს სტატუსს. მათი საქციელი ამით აიხსნება.

ძლიერი აფეთქება ბათუმში

ბათუმში ადგილობრივებმა ძლიერი აფეთქების ხმა გაიგეს. თვითმხილველები წერენ, რომ ზღვაში რაღაც აფეთქდა.

აფეთქება კომპანია „ალიანსის“ ცათამბჯენების მოპირდაპირედ მოხდა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, მრგვალი მეტალის მოწყობილობა, რომელიც აფეთქდა.

აფეთქების ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხმა ბათუმის სხვადასხვა რაიონებში გაიგეს.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება ქალაქ ბათუმში, ზღვაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, მათ შორის მეხანძრე-მაშველები, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები. ასევე, ადგილზე იმყოფებიან გამნაღმველებიც.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც აფეთქებას გულისხმობს, – წერს უწყება.

ხობში 45 წლის ქალის მკვლელი ქალია

ხობში 45 წლამდე ქალის მკვლელობის ბრალდებით ახალგაზრდა ქალი დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ქალებს შორის დავა ფინანსურ საკითხებს უკავშირდებოდა.

დამნაშავეც და გარდაცვლილიც ზუგდიდიდან არიან.

დამნაშავის იდენტიფიცირება მალევე მოხერხდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ლევან ხაბეიშვილი: „წულუკიანის სახელს ასე დაიმახსოვრებს ისტორია – „ჯალა-თია“

– გელათიდან ჯალათებიც, წულუკიანებიც, მაჯლაჯუნებიც და ეშმაკებიც უნდა განვდევნოთ, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

ხაბეიშვილი კულტურის მინისტრს, თეა წულუკიანს მიმართავს და აღნიშნავს, რომ ისინი მზად არიან, მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტები ჩამოიყვანონ და გელათი გადაარჩინონ.

– გელათი საქართველოს გაერთიანების და ყველაზე დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის ეპოქის მთავარი სიმბოლოა. გელათი არის საქართველოს ქრისტიანული კულტურის, ანუ საქართველოს ევროპელობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო. გელათი, სვეტიცხოველთან ერთად, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და სწორედ გელათი და სვეტიცხოველია მსოფლიო ისტორიულ რუკაზე საქართველო.

ის, ვინც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მრავალი ასეული ქართული ეკლესია დაანგრია, საბჭოთა ჯალათია. ის, ვისაც მიაჩნია, რომ უკრაინაში საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილით მოწყურებულ ომში რუსეთი, ანუ ბოროტება გაიმარჯვებს და პარალელურად საქართველოში ანგრევ გელათს, საბჭოთა ჯალათია. სამწუხაროდ, საბჭოთა ჯალათობა წულუკიანების ოჯახური ტრადიციაა, ძალიან ცოტა დრო გრჩებათ ქალბატონო თეა, ჯალათების დრო იწურება, უკრაინა გაიმარჯვებს, საქართველო გათავისუფლდება და თქვენს სახელს ასე დაიმახსოვრებს ისტორია – „ჯალა-თია“. შესაბამისად, დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ჯალათისთვის შეთავაზების გაკეთება კიდევ ერთხელ გვიწევს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ჩვენი შეთავაზება.

ჩვენ მზად ვართ, გელათთან დაკავშირებით, მსოფლიო საუკეთესო სპეციალისტები, პროფესიონალები ჩამოვიყვანოთ საქართველოში, უზრუნველვყოთ ეს მათ შორის, ფინანსურად და გადავარჩინოთ გელათის ის ნაწილი, რაც ამ დრომდე ვერ გაანადგურა ქალბატონმა „ჯალა-თიამ“.

მოვუწოდებ მათ შორის, კულტურის სამინისტროს გმირ თანამშრომლებს, ვინც კრიტიკულ დასკვნებს წერენ, არ შეგეშინდეთ, თქვენ გვერდით ვარ ყველანაირად. იცით ჩვენი კონტაქტი, ჩვენი მისამართი, თითოეული თქვენგანის გვერდით დავდგები, რომლებიც ხელს ქურდობას, კრიმინალს, ჯალათობას არ აწერთ და პირდაპირ და ღიად საუბრობთ გელათში განვითარებულ მოვლენებზე. შესაბამისად, გელათიდან უნდა გავდევნოთ ჯალათებიც, წულუკიანებიც, მაჯლაჯუნებიც და ეშმაკებიც. ჩვენ მზად ვართ, მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტების ჩამოყვანა უზრუნველვყოთ იმისთვის, რომ გელათი გადავარჩინოთ, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ღალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მერაბიშვილიც და კეზერაშვილიც კარგად დავიწყებული ახალი სახეები არიან“

სოსო ცინცაძე: „ირაკლი კობახიძე შეიძლება არის კარგი კონსტიტუციონალისტი, მაგრამ პოლიტიკაში აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ვანო მერაბიშვილის ღიად გამოჩენა და პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, როგორ ფიქრობთ, რაზე მიანიშნებს, რომ მას აქვს ამბიცია კულისებიდან გამოსვლის?

– არ მიმაჩნია, რომ მას პარტიაში ოფიციალური თანამდებობის დაკავების ამბიცია აქვს და ამისთვის ისწრაფოდეს. მერაბიშვილი პროფესიონალია. თუ პატრულის შექმნა და შემდეგ რეფორმები მასზე იყო, გამოდის, ორგანიზაციული ნიჭიც ჰქონია. ახლა ნაციონალურ მოძრაობას ორგანიზაციული ნიჭი ნამდვილად სჭირდება. თუ პარტიას ასევე აქვს ფინანსური პრობლემები გადაჭრილი და ორგანიზაციულიც იქნება მოგვარებული, მაშინ ეს პარტიას ცოტა ხანში უნდა დაეტყოს.

ერთი სიტყვით, მერაბიშვილისა და კეზერაშვილის ტანდემის შედეგები ახლო დროში უნდა გამოჩნდეს, მაგრამ თუ უფრო შორეულ პერსპექტივაში განვიხილავთ მათ ბოლო დროის გადაწყვეტილებებს, ეს ალბათ 2024 წლის არჩევნებისთვის მზადებაა.

– ფარდის მიღმიდან?

– დიახ, ალბათ უფრო რუხი კარდინალის როლიდან. აქ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ გადაწყვეტილებების მიღების ცენტრი გადაინაცვლებს მერაბიშვილ-კეზერაშვილის ხელში. ეს ტანდემი არ არის ახალი ქართული პოლიტიკისთვის. მათ შესახებ იცის მთელმა ქვეყანამ, ერთი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და მეორე თავდაცვის მინისტრი, მაგრამ მერაბიშვილიც და კეზერაშვილიც კარგად დავიწყებული ახალი სახეები არიან. ისინი მოვიდნენ პარტიაში, როგორც გადაწყვეტილებების მიმღებები, მაგრამ რამდენად ეფექტიანი იქნება ეს, რთული სათქმელია. თუმცა, ერთი, რაც ვიცი, მერაბიშვილს კარგი მენეჯერის სახელი ჰქონდა. მახსენდება, ივანიშვილმა რომ თქვა, კარგ საქმეებს გავაკეთებინებდი ჩემს მთავრობაშიო.

– რამდენად შეძლებს „ოცნება“ წინასაარჩევნოდ საკაშვილი, როგორც საფრთხობელა, უკვე მერაბიშვილით ჩაანაცვლოს?

– ალბათ უფრო გაუჭირდება.

– რატომ?

– სააკაშვილი მაინც პირველი პირი იყო და მთელი პასუხისმგებლობა მასზე მოდის. დღეს სააკაშვილი სრულიად განეიტრალებულია. შეუძლებელია მისგან საფრთხის მოლოდინი. ამიტომ, ამ კითხვაში, ცხადია, ლოგიკა არის, მაგრამ იცით როგორ არის, მავრმა გააკეთა და მავრი მიდის.

ერთი, რაც დღეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ორივემ – მერაბიშვილმაც და კეზერაშვილმაც – რთული გადაწყვეტილება მიიღეს. როგორც ჩანს, ეს არ არის ერთი დღის ანალიზის შედეგი. მერაბიშვილს ამისთვის შვიდი წელი ჰქონდა სამარტოო საკანში, სადაც ფიქრში ხელს არავინ უშლიდა. ალბათ კარგად დაფიქრდა. აწონ-დაწონა და საბოლოოდ მიიღო ეს გადაწყვეტილება. არ მგონია, რომ ერთი დღით და ერთი წლით იყოს დაბრუნებული, ის უფრო ხანგრძლივი მოქმედებისთვის ემზადება. მერაბიშვილსაც და კეზერაშვილსაც ძალიან კონკრეტული და მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ პარტიაში. ისინი მიტინგებზე, აქციებზე არასდროს არ გამოვლენ, მაგრამ ასეთი გზავნილები ალბათ ექნებათ. მერაბიშვილის ეს ინტერვიუც, როგორც გზავნილი, ისე უნდა განვიხილოთ.

– რას გულისხმობთ?

– „ფეიგინ ლაივს“ რომ მისცა ინტერვიუ. თუმცა, მე გამოვრიცხავ, რომ ის ხელმისაწვდომი გახდეს ქართული მედიისთვის. ეს ალბათ გამორიცხული იქნება.

– არჩევნებისთვის მზადება ახსენეთ. როგორც ჩანს, ბევრი რამ უკვე ამაზე მეტყველებს. თუმცა, რამდენად უნდა ველოდოთ მოულოდნელობებს 2024 წლის არჩევნებზე?

– დღეს ძალიან რთული სათქმელია, რადგან არავინ იცის, რა საარჩევნო კოდექსით ჩატარდება არჩევნები. იქნება თუ არა ბუნებრივი ან ერთპროცენტიანი ბარიერი, ან დარჩება თუ არა ხუთპროცენტიანი ბარიერი. როგორი იქნება ოპოზიციურ ფლანგზე ძალთა ბალანსი, პარტიათა გადაჯგუფება. რას შემოგვთავაზებს „ქართული ოცნება“. თუმცა, ინტელექტუალური ინიციატივა მმართველ ძალას აკლია. ირაკლი კობახიძე შეიძლება არის კარგი კონსტიტუციონალისტი, მაგრამ პოლიტიკა, როგორც მეცნიერება, არა აქვს ათვისებული. როდესაც ის პოლიტიკურ მოგება-წაგებაზე ლაპარაკობს, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს. პოლიტიკოსობას სხვა ნიჭი და სულ სხვა ქარიზმა სჭირდება.

– წინასაარჩევნოდ „ოცნებამ“ რა სიახლე შეიძლება შემოგვთავაზოს?

– ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. ისინი ალბათ დაელოდებიან, როგორ გადალაგდება ოპოზიციური ფლანგი და თამაშის წესებსაც მერე შემოგვთავაზებენ. თუმცა, მიმდინარე წლის შემოდგომისთვის საარჩევნო კამპანია მთელი თავისი ენერგიით სტარტს აიღებს და მაშინ ბევრი რამ გამოჩნდება.

„თურქეთის მიწისძვრა მოსალოდნელი იყო“

თეა გოდოლაძე: „თბილისის გეოლოგია არ არის ისე მოწყობილი, რომ დიდ დატვირთვებს გაუძლოს, ცათამბჯენების აშენება დაუშვებელია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სეისმოლოგი თეა გოდოლაძე პასუხობს.

– ქალბატონო თეა, თურქეთის მიწისძვრის შემდეგ ჩვენი მოსახლეობაც ძალიან შეშინებულია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიძგები გურიასა და აჭარის რეგიონშიც ფიქსირდება. რას იტყვით თქვენ, როგორც სეისმოლოგი? რამდენად სახიფათო სიტუაციაა? ეს არის თურქეთის მიწისძვრის გამოძახილი თუ რაიმე სხვა პროცესი მიმდინარეობს ჩვენთან?

– ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მინდა ცალსახად ვთქვა, რომ საქართველოში ყოველდღიურად ხან 50 მიწისძვრა ხდება, ხან 30 და ხანაც 70. ხან ისეთი პერიოდია, რომ საკმაოდ აქტიურია ფონი. ამ მხრივ ვართ აქტიური ქვეყანა. დამოუკიდებლად თურქეთისა და მსოფლიო სეისმურობისა, აქ ხდებოდა, ხდება და მოხდება ეს მიწისძვრები. ოღონდ არავინ არ იცის, როდის. ფონური სეისმურობა გვაქვს და ეს მიწისძვრები, ახლა რაც ხდება, დამოუკიდებელი ცდომილებებია. ასეთი მიწისძვრები ხდებოდა. გაგახსენებთ, შარშან, 13 თებერვალს საშუალო კლასის მიწისძვრა მოხდა ჯავახეთში. თუ ჩვენს ვებგვერდზე შემოხვალთ, ნახავთ, რომ უამრავი მიწისძვრა ხდება. მესმის, რომ აღელვებულები ვართ, მესმის, რომ საშინელება მოხდა თურქეთში, მესმის, რომ ემოციური ფონი გაზრდილია. ძალიან გთხოვთ, ნუ ვუჯერებთ ნურავის. მიწისძვრის პროგნოზი რომ შემეძლოს, ძალიან ბევრი პრობლემა გადაწყდებოდა ამით.

– გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც წინასწარ პროგნოზირებენ და კიდევ უფრო აშინებენ ისედაც შეშინებულ მოსახლეობას.

– კარგით ახლა, ეს ძალიან არასერიოზულია. მე თუ მკითხავთ, დასჯადი უნდა იყოს ეს. იმიტომ, რომ იწვევს მასობრივ და საზოგადოებრივ პანიკას. არაფრით არ შეიძლება ასეთი რაღაცის გაკეთება! ყველას ერთნაირი სტაბილური ემოციური ფონი ხომ არ აქვს? როგორ შეიძლება ადამიანებზე ასე ზემოქმედება?!

– ანუ, ბოლო დღეებში მომხდარი მიწისძვრა არანაირ კავშირში არ არის თურქეთის მიწისძვრასთან?

– აბსოლუტურად არანაირი. ეს არის აჭარა-თრიალეთის რღვევა. 2011 წელს 5,2-ბალიანი მიწისძვრა იყო ამავე ადგილას. ლამის ყოველდღე ხდება მიწისძვრები.

– რას იტყვით თბილისზე, რამდენად საშიში ვითარებაა აქ ამ კუთხით? ამდენი ახალი შენობა, გადატვირთული ქალაქი კორპუსებით, რომელიც, არავინ იცის, რამდენად მდგრადია.

– აი ეს არის მთავარი პრობლემა, თორემ მიწისძვრა კი არ არის პრობლემა! მიწისძვრა მოხდება და ამას ვერავინ ვერ შეაჩერებს. ეს მშენებლობებია პრობლემა. ლოგიკურად უნდა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ლუკაშენკოს, სავარაუდოდ, ბელარუსში გაასამართლებენ“

სოციოლოგი ეიდმანი: „პუტინი და მისი კამარილია სამხედრო დამნაშავეები არიან. მათ საერთაშორისო სასამართლო მიხედავს“

მარიამ მჭედლიშვილი

როცა საქართველოს გარკვეული პოლიტიკური წრეები საზოგადოებას რუსეთის გამარჯვებასა და ასევე, უადგილოდ და უდროოდ, ევროკავშირის მანკიერებებში არწმუნებენ, სამყაროს უდიდეს ნაწილს კი ეჭვი არ ეპარება აგრესორი კრემლის საბოლოო მარცხში უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომში. სხვადასხვა ქვეყნის ანალიტიკოსები მსჯელობენ იმაზეც, თუ რატომ ვერ ერთვება ბელარუსის არმიით ომში პუტინის ამფსონი ლუკაშენკო. ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა კრემლის მოწინააღმდეგე, სოციოლოგი იგორ ეიდმანი.

– რიგი დასავლელი ექსპერტები წერენ იმაზე, რომ ლუკაშენკომ გადაიფიქრა პუტინისთვის დახმარება და ის არ მიიღებს მონაწილეობას რუსეთის მოსალოდნელ შეტევაში კიევზე ჩრდილოეთიდან. მეტყველებს თუ არა ეს ლუკაშენკოს უკან დახევაზე?

– ლუკაშენკოს წინსვლაც არასდროს ჰქონია, თუ საუბარია ბელარუსის არმიის უშუალო მონაწილეობაზე უკრაინის წინააღმდეგ ომში. ეს კატეგორიულად არახელსაყრელია ლუკაშენკოსთვის. ომის დასაწყისში მას შეიძლებოდა ჰქონოდა ილუზიები იმის შესახებ, რომ რუსეთი უკრაინას სწრაფად გაუსწორდებოდა და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. ახლა ლუკაშენკოს უკვე გაცნობიერებული აქვს, რომ ბელარუსის არმიის მონაწილეობა ამ ომში კარგად არ დამთავრდება. გარდა ამისა, ბელარუსის საზოგადოება, ასევე ბელარუსის არმია ომის კატეგორიული მოწინააღმდეგეები არიან. ომს ლუკაშენკოს მომხრეებიც კი ეწინააღმდეგებიან. ლუკაშენკო მოსახლეობის მომადლიერებას იმით ცდილობდა, რომ ბელარუსში სტაბილურობაა. თუ ბელარუსი ომში უშუალოდ ჩაებმება, მითი ბელარუსული სტაბილურობის თაობაზე მომენტალურად დაიმსხვრევა. ბელარუსი ანალიტიკოსების შეფასებით, ლუკაშენკოსთვის საბრძოლველად მზად არიან მხოლოდ მისი ჯალათები – მაქსიმუმ, 5 ათასი კაცი. ეს ჯალათები ლუკაშენკოს თვითონ სჭირდება. ის მათ ბრძოლის ველზე გასაშვებად ვერ გაიმეტებს. ისინი რომ გაუშვას, ტახტის მცველები არ ეყოლება. ამრიგად, ლუკაშენკოს პირდაპირი ჩართვა ომში დაუჯერებელია. სხვა ფორმებით ის პუტინისთვის დახმარების გაწევას გააგრძელებს.

– ასეთ დახმარებაზე ბელარუს ხალხს რა რეაქცია ექნება?

– ბელარუსმა ხალხმა ბოლო წლებში დაამტკიცა, რომ არ სურს ლუკაშენკოს მოთმენა. ლუკაშენკო კრემლის ფულითა და ხიშტებით ინარჩუნებს ხელისუფლებას. ციხეებში გამომწყვდეულია ათასობით ბელარუსი, ასობით ათასი ემიგრაციაში წავიდა. დარჩენილები განიცდიან საშინელ წნეხს სახელმწიფოს მხრიდან. აჯანყება მოსალოდნელი არ არის. ლუკაშენკოს არმიისაც ეშინია. ბელარუსის არმიის უკრაინაში გაგზავნის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ სამხედროებმა იარაღი ლუკაშენკოსკენ მომართონ. ჯერჯერობით ბელარუსში კატაკლიზმები არ იქნება. ხოლო როცა პუტინის რეჟიმი ომს წააგებს და დაიწყებს ჩამოშლას, მაშინ ბელარუსის ოპოზიცია თავს წამოყოფს.

– რა ელის ლუკაშენკოს პუტინის მარცხის შემთხვევაში?

– პუტინი უეჭველად დამარცხდება, ბელარუსები კი აზვირთდებიან. მაშინ ძალოვანი ბელარუსის სტრუქტურებიც აღარ დაიცავენ ლუკაშენკოს. ის მათ ფაქტობრივად რუსულ ფულს უხდის. როცა ისინი შეიტყობენ, რომ პუტინი აღარ არის, იმასაც გააცნობიერებენ, რომ ლუკაშენკოს აღარ აქვს მხარდაჭერა. ლუკაშენკოს ან მოკლავენ, ან გაასამართლებენ.

– ლუკაშენკომ დაავალა თავის ჩინოსნებს, მოემზადონ სასანქციო ზეწოლის გაძლიერებისკენ. ამა თუ იმ გზით ლუკაშენკოს ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში, ბელარუსის წინააღმდეგ სანქციები ისევ იმოქმედებს?

– როცა ლუკაშენკოს დაამხობენ, ბელარუსის მიმართ არანაირი სანქცია აღარ იქნება, ქვეყანას კი ევროპაში სიხარულით მიეგებებიან. სანქციები დაკავშირებულია ლუკაშენკოს პერსონალურ დიქტატურასთან, რომელიც ატარებს რეპრესიებს და ეხმარება რუსეთს აგრესიის განხორციელებაში.

– ბელარუსს რუსეთზე მეტი შანსი აქვს, რომ დასავლეთის სამყაროს დაუბრუნდეს?

– ბელარუსს არავინ გაუსწორებს ანგარიშს ლუკაშენკოს მოქმედებების გამო. უფრო მეტიც, დასავლეთი არ არის მონდომებული, შური იძიოს პუტინის რეჟიმის მოქმედებებისთვის. თუ რუსეთი შეასრულებს გარკვეულ მოთხოვნებს, რუსეთს ანგარიშს არავინ გაუსწორებს. პირობითად, ეს მოთხოვნებია: რუსეთის უკრაინიდან გასვლა; რეპარაციები მიყენებული ზარალის გამო; სამხედრო დამნაშავეების გასამართლება.

– როცა ლუკაშენკოს გასამართლებაზე ისაუბრეთ, რა იგულისხმეთ? სად გაასამართლებენ მას?

– მგონია, რომ ლუკაშენკოს სასამართლო ბელარუსში მოეწყობა. პუტინის საერთაშორისო დანაშაულები საშინაო დანაშაულებზე უფრო მასშტაბურია. ლუკაშენკოსთან პირიქითაა. რასაკვირველია, ლუკაშენკოც დამნაშავეა და ის ეხმარება რუსეთს აგრესიაში, მაგრამ აქ ის უმნიშვნელო ფუნქციას ასრულებს. მისი ადგილი დაახლოებით იგივეა, რაც ორკესტრში დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელის როლი. ლუკაშენკო ამ ომში დამოუკიდებელ როლს არ ასრულებს. მას ბელარუსები გაასამართლებენ. პუტინი და მისი კამარილია სამხედრო დამნაშავეები არიან. იმედი მაქვს, რომ მათ საერთაშორისო სასამართლოში გამოუტანენ განაჩენს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო ბიზნესის კეთების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცა, 2022 წელს 10.5%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა“

ირაკლი ღარიბაშვილმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მსოფლიოს მთავრობათა სამიტს სიტყვით მიმართა

– ჩემთვის დიდი პატივია, მივმართო მსოფლიო მთავრობების სამიტს და გულითადი მადლობა გადავუხადო მასპინძელი ქვეყნის – არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს, მის უდიდებულესობა შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაიანს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, დუბაის მმართველს, მის უდიდებულესობა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს და მასპინძელი მთავრობის პატივცემულ წევრებს.

არაბთა გაერთიანებული საამიროები ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებს ინოვაციებისა და წინსვლის კონტექსტში და ეს სამიტი არის კიდეც ქვეყნის ურყევი ერთგულების ნიშანი გლობალური თანამშრომლობის მიმართულებით. წლევანდელი სამიტის თემაა მომავლის მთავრობათა ფორმირება და ეს განსაკუთრებით აქტუალურია ტექნოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური წინსვლის ახალი ერის მოლოდინში, – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველომ მოახერხა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2023-2027 წლებში საქართველოს ყველაზე მაღალი ზრდა ექნება რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის – წელიწადში საშუალოდ 5%.

– ჩვენს მთავრობას აქვს ძლიერი საქართველოს ხედვა, რომელიც ერთგულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების იდეისადმი, და ეს აისახება კიდეც ჩვენს მრავალგანზომილებიან მიდგომაში, რომელიც ქართველი ხალხისთვის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მიუხედავად რეგიონში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გლობალურად ეკონომიკური შესაძლებლობების შემცირებისა, საქართველომ მოახერხა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ჩვენმა მთავრობამ ეროვნულ დონეზე წამოიწყო მრავალმხრივი ძალისხმევა საჯარო აქტივებში ინვესტიციების გაზრდის მიზნით. მთავრობის ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკის, ასევე გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის გამო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ფინანსური მომსახურების, მშენებლობის, ენერგეტიკისა და სერვისების სფეროებში, ტურიზმის ჩათვლით, მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 2022 წელსაც, – 10.5%-იანი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2022 წელს 10,1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2023-2027 წლებში საქართველოს ყველაზე მაღალი ზრდა ექნება რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის – წელიწადში საშუალოდ 5%.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2022 წელსაც, რომლის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაორმაგდა და, პრინციპში, 100%-ზე მეტით გაიზარდა. ჩვენმა გადამწყვეტმა მოქმედებებმა ხელი შეუწყო საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში 200 000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას. წარმატებას მივაღწიეთ ინფლაციის 9.4%-ზე სტაბილიზაციის კუთხითაც, ხოლო სამიზნე ორიენტირად ინფლაციის 5 პროცენტამდე შემცირებას ვაპირებთ 2023 წელს. ღარიბაშვილი სამიტზე ახალი იდეითაც წარდგა.

– ჩვენი მიზანია საქართველო ვაქციოთ ნამდვილ მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად და აქტიურად ვმუშაობთ მსოფლიოს წამყვან ფირმებთან და ყველაზე ნათელ თავებთან. საქართველო ემსახურება ზღვაზე გასასვლელის არმქონე 8 ქვეყანას და არის კარიბჭე ევროპასა და აზიას შორის. ჩემი ქვეყანა უკვე თამაშობს მნიშვნელოვან როლს აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში.

საქართველო საერთაშორისო ფირმებს სთავაზობს კონკურენტულ გარემოს ბიზნესის გაფართოებისთვის უფრო დიდ რეგიონში, რაც შეამცირებს მათ საოპერაციო ხარჯებს. საქართველოს გავლით კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ ევროპის 2.3-მილიარდიან სამომხმარებლო ბაზარზე წვდომით საბაჟო მოსაკრებლისა და იმპორტის გადასახადის გარეშე. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ჩინეთთან, დსთ-სთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, უკრაინასა და თურქეთთან.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენ შევძელით საქართველო ბიზნესის კეთების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად გვექცია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთები აქვს მსოფლიოში. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველო მე-3 ადგილზეა ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხის მქონე ქვეყნებს შორის და ჯამური საგადასახადო განაკვეთი 9.9 პროცენტია. ასევე, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის 2020 წლის კვლევით, საქართველო მე-7 ადგილზეა გლობალურად.

საქართველო ინვესტორებს სთავაზობს, ასევე, არსებითად მიმზიდველ წინადადებას, რადგან ისეთი საგადასახადო მოდელი შევქმენით, რომლის ფარგლებშიც გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება. გარდა ამისა, საქართველოს აქვს ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ამ ზონებში საექსპორტო საქონელი იწარმოება და გადასახადებისაგან თავისუფლდება. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ბიზნესის კეთების მიმზიდველ ადგილს. ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების 2022 წლის ანგარიშში საქართველო ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე 15 ქვეყანას შორის მოხვდა. 2021 წლის ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობისა და ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო 1-ელ ადგილზეა 120 ქვეყანას შორის სახელმწიფო ბიუჯეტების გამჭვირვალობის მიხედვით. საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი ნორმებით შეზღუდვის ინდექსის საფუძველზე, საქართველო მე-8 ადგილზეა 80 ქვეყანას შორის და მსოფლიოში ყველაზე ღია ეკონომიკაზე მეტყველებს ინვესტიციების მიმზიდველობის ნიშნით. ჰერითიჯის ფონდის ეკონომიკური თავისუფლების 2022 წლის ინდექსში საქართველო მე-18 ადგილზეა ევროპაში და წინ უსწრებს ევროკავშირის ბევრ წევრ სახელმწიფოს, ხოლო გლობალურ რეიტინგში 26-ე ადგილს იკავებს 177 ქვეყანას შორის.

– გადაწყვეტილი გვაქვს სწრაფი წინსვლა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და კანდიდატის სტატუსი არის ჩვენი შემდეგი უახლოესი ეტაპი, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა არის მოქნილი და რეაგირებს ახალ რეგიონულ და გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ თავმჯდომარეს, პროფესორ კლაუს შვაბს შეხვდა.

დუბაიში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გუნდის ნაყოფიერ თანამშრომლობას. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ორგანიზებაში კლაუს შვაბის განსაკუთრებულ პირად წვლილს და აღნიშნა, რომ 2023 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და კონკრეტული შედეგების მომტანი ფორუმის მონაწილე მსოფლიო ლიდერებისთვის.

* * *

ირაკლი ღარიბაშვილი ერაყის ქურთისტანის რეგიონული მთავრობის ხელმძღვანელს, პრემიერ-მინისტრ მასრურ ბარზანის შეხვდა.

ქურთისტანის რეგიონის მთავრობის ხელმძღვანელთან ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და დუბაის საამიროს მმართველს, მის უმაღლესობა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს მსოფლიოს მთავრობათა სამიტის წარმატებით ჩატარება მიულოცა და ხაზი გაუსვა სამიტში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობას. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მსოფლიოს მთავრობათა სამიტზე მას შესაძლებლობა ჰქონდა წარმოეჩინა ქვეყნის, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის რეგიონული დამაკავშირებლის, პოტენციალი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ორმხრივი, დინამიკური თანამშრომლობა აქვთ და მნიშვნელოვანია ეკონომიკის სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება.

პრემიერ-მინისტრმა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს საქართველოში არსებული ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ქვეყანაში არაბული ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია გამოიყენოს თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ბიზნესკლიმატი სატრანზიტო ფუნქციის გასაძლიერებლად. საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ევროპასა და აზიას შორის მათი ტერიტორიების მეშვეობით ციფრული კავშირის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია.

„თურქეთის მიწისძვრა მოსალოდნელი იყო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მივყვეთ საკითხს. თუ თბილისში 2002 წელს მაგნიტუდა 4,5-იანმა დაგვაზიანა, ე. ი. უფრო დიდი მაგნიტუდა სერიოზულად დაგვაზიანებს. მით უმეტეს, ამ გაზრდილი გრუნტის დატვირთვის პირობებში, როდესაც ამხელა ცათამბჯენები იდგმება ქალაქში. არ არის თბილისის გეოლოგია მოწყობილი ისე, რომ ასეთ დატვირთვებს გაუძლოს. არავითარ შემთხვევაში ეს არ შეიძლება.

– ნებართვა ნებართვაზე გაიცემა. დანაშაულია ასეთი პოლიტიკა?

– ნამდვილად დანაშაულია და ამაზე ვსაუბრობთ უკვე რამდენი ხანია. აღვირახსნილ სამშენებლო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ რამდენი ხანია! რაც შეგვეძლო ჩვენს სამეცნიერო ჯგუფს, როგორც შეგვიძლია ყველასთან ამაზე ვლაპარაკობ, რომ ასე ქმედება არ შეიძლება. სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი მესიჯი, რომ მოვემზადოთ, რომ არ გვეშინოდეს ელემენტარულად. თორემ სად წაუხვალთ მიწისძვრას? მაგნიტუდა 7-იანი იყო ონში, ვინ აგვარიდებს თავიდან? წინასწარ არავინ იცის. ეს არის ბუნებრივი კატასტროფა, რომელიც არ ვიცით, როდის და სად მოხდება.

– თურქეთის შემთხვევაში ხომ ითქვა, რომ მოხდებოდა?

– კი, გრძელვადიან პერიოდში ჩვენც ვიცით, რომ მოხდება ფილაქნების საზღვრებზე. ვცხოვრობთ ფილაქნების საზღვარზე? დიახ, ვცხოვრობთ არაბეთისა და ევრაზიის ფილაქნების საზღვარზე. ნამდვილად გვაქვს ამის საფრთხე, რომ მოხდეს აქ მიწისძვრა. არის ასეთი ქვეყანა საქართველო, კავკასიაც, მაგრამ როდის, რანაირად, რა სიტუაციაში, არავინ არ იცის ეს.

– ამ ახალი შენობა-ნაგებობების დროს, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა და რამდენ ბალზეა გათვლილი?

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ ნორმა არ არის დაცული. 2015 წლიდან ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი გამუდმებით საუბრობს ამაზე. ამ პერიოდიდან შევამჩნიეთ განსაკუთრებული ზრდა სამშენებლო ტემპის. მასობრივად წამოვიდა ეს ტენდენცია, ქაოტური სახე მიიღო ქალაქში მშენებლობამ. ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი ძალიან შევშფოთდით, რადგან ქვეყნის სამშენებლო კანონმდებლობა არ იყო ამისთვის მზად. არც ცოდნა ჰქონდათ საკმარისი.

ჩვენ მივმართეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და დავიწყეთ ასეთი პროექტი – სეისმური საფრთხის შეფასება თანამედროვე მეთოდებით. მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გუნდთან ერთად შევქმენით ახალი საშიშროების რუკა, რომელიც ყოველ 5 წელიწადში უნდა განახლდეს. დავიწყეთ თანამშრომლობა, ჩამოყალიბდა სამშენებლო კომიტეტი, რომელმაც უნდა მიიღოს სეისმური უსაფრთხოების სამშენებლო ნორმები, როგორც კანონი და მოახდინოს ტრენინგი სამშენებლო სექტორის, იმისთვის, რომ უსაფრთხო გახდეს ჩვენი შენობები. აი აქეთკენ უნდა წავიდეთ, აქ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, თორემ პანიკა რას გვიშველის? ვიდგეთ და ვიკივლოთ, დავიმარხოთ თავები, სანამ მიწისძვრა მოხდება. ასე არ შეიძლება.

– თურქეთთან დაკავშირებით რას იტყვით?

– ეს მიწისძვრა მოსალოდნელი იყო. თურქეთის სამეცნიერო წრეებმა, ყველამ ვიცით, რომ ეს არის ძალიან მძიმე ტექტონიკური ერთეული, სადაც ძალიან დიდი მიწისძვრა შეიძლება მოხდეს. თურქეთში ელოდებოდნენ ამას, სამეცნიერო წრემ იცოდა, რომ მოხდებოდა. დაახლოებით 500 წელიწადი აქვს განმეორების პერიოდი. ასე ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ დაახლოებით ეს პერიოდია. ძალიან ვერაგი სეისმური რღვევაა. ამას ელოდნენ. პრობლემა ისაა, რომ თურქეთს, მიუხედავად იმისა, კანონმდებლობის დონეზე აქვს სამშენებლო პოლიტიკა, დიდი რეფორმები ჩაატარეს, გადამზადება იყო სერიოზული. სტამბოლში სერიოზულად ემზადებიან მიწისძვრისთვის. იქაც მოსალოდნელია მიწისძვრა. მიუხედავად ამისა, ხომ ვუყურებთ, რა ხდება?! სადაც კი კორუფციაა სამშენებლო კუთხით, ყველგან ეს პრობლემა ხდება, ყველგან!

– ანუ, შესაძლოა, იგივე საფრთხე დაგვემუქროს?

– სწორედ მაგიტომ ვსაუბრობ ამდენი ხანია. ძალიან ვთხოვ მოსახლეობას, პანიკაში კი ნუ ჩავარდება, არამედ მოითხოვოს სტაბილური საცხოვრისი. ეს არის გამოსავალი, მეტი არაფერი!

გორში მშენებარე კორპუსიდან 60 წლამდე მუშა გადმოვარდა და დაიღუპა

გორის ცენტრში, მშენებარე კორპუსიდან 60 წლამდე ასაკის მუშა გადმოვარდა.

არსებული ინფორმაციით, კაცი ადგილზე დაიღუპა.

მშენებარე კორპუსთან პოლიციაა მობილიზებული. „მთავარი არხის“ გადამღები ჯგუფი ადგილზე იმყოფება და დამატებით დეტალებს არკვევს.

ატენის ქუჩაზე მანქანა დაიწვა

თბილისში, ატენის ქუჩაზე მანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

თვითმხილველების თქმით, სამაშველო სამსახურის ეკიპაჟი დროულად მივიდა შემთხვევის ადგილზე და ცეცხლის ჩაქრობა სწრაფად მოახერხეს. მისივე თქმით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სუს-ის ყოფილ მაღალჩინოსანს ტყვია გულში აქვს მოხვედრილი

„პირველებმა“ ის ადგილი გადაიღო, სადაც სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი გენადი სურმანიძე საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს.

ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილზე, ჩაქვის გვირაბთან მდებარე ტყის დასახლებაში, სათვალთვალო კამერები არ არის.

წყარო შსს-დან „პირველებს“ უდასტურებს, რომ გენადი სურმანიძეს ერთი ტყვია გულში აქვს მოხვედრილი, 53 წლის კაცს სხვა დაზიანებები არ აღენიშნება. დაზიანებული არ არის ავტომობილიც.

53 წლის სურმანიძე სისტემაში 30 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ოჯახს მომხდარის შესახებ ვერსიები არ აქვს, ამბობენ, რომ გარდაცვლილს პრობლემები არ ჰქონდა. სურმანიძეები ექსპერტიზის დასრულებას ელოდებიან.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლითაა აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საზოგადოება

ემანუელ მაკრონმა ნინო ლომჯარია ღირსების ეროვნული ორდენით დააჯილდოვა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საქართველოს ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ღირსების ეროვნული ორდენით დააჯილდოვა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში საფრანგეთის საელჩო ავრცელებს.

დიპლომატიური მისიის ცნობით, ეს ჯილდო ლომჯარიას მნიშვნელოვანი როლისთვის გადაეცემა, რომელიც მან „ქართული დემოკრატიის ამ ერთ-ერთი საყრდენი ინსტიტუციის სათავეში შეასრულა“.

– დღეს საფრანგეთის ელჩი საქართველოში, ქალბატონი შერაზ გასრი, შეხვდა საქართველოს ყოფილ სახალხო დამცველს, ქალბატონ ნინო ლომჯარიას, რათა მისთვის ეცნობებინა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა იგი ღირსების ეროვნული ორდენით დააჯილდოვა. ეს ჯილდო ლომჯარიას გადაეცემა მნიშვნელოვანი როლისთვის, რომელიც მან ქართული დემოკრატიის ამ ერთ-ერთი საყრდენი ინსტიტუციის სათავეში შეასრულა. გულწრფელად ვულოცავთ მას, – ნათქვამია საქართველოში საფრანგეთის საელჩოს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

2023 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით, მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 3.09 მილიარდი ლარია

2023 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით, მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 3.09 მილიარდი ლარია.

საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, წმინდა ამონაგები კი 479.5 მილიონ ლარს შეადგენს.

– საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 372 ათასი ადამიანია. დღეისათვის, დაგროვებითი პენსიით ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 3,086 პირმა, მათზე გაცემული თანხა კი 7,985,980.66 ლარს შეადგენს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორი ამინდი იქნება 18 თებერვლამდე



13 თებერვლიდან 18 თებერვლამდე საქართველოში მოსალოდნელია სკანდინავიის ციკლონთან დაკავშირებული ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება – ასეთ პროგნოზს ქართველი სინოპტიკოსები აკეთებენ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მოსალოდნელია ნალექი უმეტესად თოვლის სახით, დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, ზღვაზე 4-5 ბალიანი შტორმი. მთიან და მაღალმთიან რეგიონებში შესაძლებელია ძლიერი თოვა, ქარბუქი, ნისლი, საავტომობილო გზებზე ლიპყინული და ზვავსაშიშროება.

საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე შესაძლებელია შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა.

14-16 თებერვალს დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ჰაერის ტემპერატურის -3 და -5 გრადუსამდე მოსალოდნელმა დაწევამ შესაძლოა ციტრუსოვანი კულტურების (განსაკუთრებით ლიმონის) დაზიანება გამოიწვიოს.

„პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც ქალებს, რომლებიც სივრცეს უწევენ მეთვალყურეობას, ასევე დაცვის თანამშრომლებს“



ეროვნულ გალერეაში გამოფენის კურატორი ქეთი შავგულიძე ამბობს, რომ მხატვარ სანდრო სულაბერიძის მიერ მისივე ნახატის ჩამოხსნისა და კედელზე გაკეთებული წარწერის გამო, მუზეუმის დაცვის თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო რამდენიმე თანამშრომელმა, რომლებიც სივრცეს მეთვალყურეობდნენ, გაფრთხილება მიიღეს.

– სამწუხაროა, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც ქალებს, რომლებიც სივრცეს უწევენ მეთვალყურეობას, ასევე დაცვის თანამშრომლებს. მათ მიიღეს გაფრთხილება, ხოლო დაცვის თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. იმედი მაქვს, საზოგადოება გულთან ახლოს მიიტანს მათ მდგომარეობას და ისევე, როგორც მხატვარს, მათაც გამოუცხადებს სოლიდარობას. მეორე მხრივ კი, სანდრო გაიაზრებს პასუხისმგებლობას ამ ადამიანების წინაშე. მომავალ აქციონერებს კი მოვუწოდებ, რომ თავად დარჩნენ აქციის ადგილზე. თუ ებრძვით სისტემას, ეცადეთ, რომ ამ სისტემას არ ემსხვერპლონ ადამიანები, – წერს შავგულიძე.

კურატორი ამბობს, რომ გამოფენამ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ფუნქცია შეიძინა და წარმოაჩინა ის შეცდომები, რომელიც მომავალში გათვალისწინებული იქნება, რათა მხატვრების ხმა უფრო ღრმა და ძლიერი იყოს.

ცნობისთვის, მანამდე პოლიციაში შავგულიძე გამოკითხეს. 4 თებერვალს ეროვნულ გალერეაში, გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ, სანდრო სულაბერიძემ საკუთარი ნამუშევრები ჩამოხსნა და მის ნაცვლად კედელზე წარწერა დატოვა – „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია“. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის წინააღმდეგ საქმე ქურდობის მუხლით აღძრა.

რა მოხდა გუდაურში?!

უსისხლოდ, ჰიბრიდული მეთოდებით ოკუპაციის შედეგებს დღეს ყველა მოქალაქე საკუთარი თვალით ხედავს და საკუთარ თავზე გრძნობს. განსაკუთრებული სამხედრო ან უსაფრთხოების ანალიტიკა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რაღაც ისე ვერ არის ჩვენს თავს. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ლამის თავად ვიქცეთ უცხოებად საკუთარ ქვეყანაში. რამდენიმე დღის წინ გუდაურში მომხდარი ინციდენტის მთავარი მონაწილე ცოტნე ჯაფარიძე აღმოჩნდა, ადამიანი, რომელიც არაერთ ანტისაოკუპაციო აქტივობაშია ჩართული და სამოქალაქო აქტივობის ძალიან კარგ მაგალითს აძლევს საზოგადოებას.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ რუსმა სტუმარმა მასთან რუსულ ენაზე კომუნიკაცია მოითხოვა, უარის და პოლიტიკური განმარტებების შემდეგ კი შელაპარაკება დაპირისპირებაში გადაიზარდა. საქმეში სამართალდამცველები ჩაერთნენ, ქართველი აქტივისტი დააკავეს და სათხილამურო ფეხსაცმლით სასამართლოში გადაიყვანეს, რუსი დამსვენებლებისთვის კი სრიალში ხელი არავის შეუშლია.

კალეიდოსკოპი

ექიმებმა პოლიტიკოსს მუცელში მაკრატელი ჩაუტოვეს

პოლიტიკოსს ბრაზილიის მატუ-გროსუს შტატიდან გამუდმებით ტანჯავდა ტკივილები მას შემდეგ, რაც ექიმებს ოპერაციისას მის მუცლის ღრუში სამედიცინო მაკრატელი ჩარჩათ.

ნოვა-სანტა-ელენას საქალაქო მუნიციპალიტეტის 46 წლის წევრმა კლეიტონ ზენატამ გადაიტანა ოპერაცია, რომლის დროსაც მას ნანლავის სიმსივნე ამოაჭრეს. აღნიშნული ოპერაცია კოლიდერის რეგიონში მდებარე საავადმყოფოში გაკეთდა. მას შემდეგ, რაც მამაკაცი საავადმყოფოდან გამოწერეს, მას მუცლის არეში ძლიერი ტკივილები დაეწყო.

ზენატამ დახმარებისთვის ისევ სამედიცინო დაწესებულებას მიმართა. იქ ჩატარებული კვლევების დროს კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ მის მუცელში უცხო სხეული, სამედიცინო მაკრატელი დააფიქსირა, რომელიც იქ ექიმებს ოპერაციის დროს ჩარჩათ. პოლიტიკოსი სასწრაფოდ მოათავსეს საავადმყოფოში განმეორებითი ოპერაციის გასაკეთებლად, ორი დღის შემდეგ კი ის საავადმყოფოდან გაეწერა.

ბრაზილიელი პოლიტიკოსის თქმით, მას დღემდე უწევს ანალიზების ჩაბარება, გარდა ამისა, ახლა უკვე თავის ტკივილები ტანჯავს. ექიმები ამას ერთ კვირაზე ნაკლებ დროში მისთვის ორჯერ გაკეთებული ანესთეზიით ხსნიან.

შტატის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი მომხდარს იძიებს იმის დასადგენად, თუ რატომ დარჩათ ექიმებს პოლიტიკოსის მუცელში სამედიცინო ინსტრუმენტი. თავად პოლიტიკოსს კი ჯერ არ გადაუწყვეტია, შეიტანოს თუ არა სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში.

ძროხებმა იმსხვერპლეს ქალი, რომელიც ძაღლს ასეირნებდა

დიდ ბრიტანეთში ნახირმა გადათელა ქალი, 74 წლის კეტი მაკელარი, რომელიც ძაღლს ასეირნებდა.

2022 წლის სექტემბერში მაკელარი ინგლისის სოფელ გრინდლტონის მახლობლად მდებარე კოტეჯში ისვენებდა. ერთხელაც ის სასეირნოდ წავიდა თავის ძაღლთან ერთად და შევიდა იმ მინდორში, სადაც მეზობელი ფერმის ძროხები ბალახობდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ძაღლი პატრონის გარეშე დაბრუნდა. კოტეჯის პატრონი მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო და სამაშველო სამსახურში დარეკა, თვითონ კი ქალის მოსაძებნად გაეშურა.

მეორე დილით ფერმის პატრონმა დევიდ ტაულერმა მინდორში მობალახე ნახირის მახლობლად ქალის ჩანთა შენიშნა, ახლოს მისულმა კი ქალის ცხედარი აღმოაჩინა. ის ეგდო მინდორში, სადაც 25 ლიმუზინის ჯიშის ძროხა ბალახობდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ექიმების ჯგუფმა მაკელარის გარდაცვალება დაადასტურა. სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, რომ ის გულმკერდის ტრავმის შედეგად დაიღუპა. პოლიციის თანამშრომლების თქმით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალი ემსხვერპლა ძროხების თავდასხმას, რომლებმაც ის გადათელეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„რწმენისა და კულტურის წყალობით ინარჩუნებთ ოპტიმისტურ განწყობას“ — რომის პაპი ქართველებს

რომის პაპმა ფრანცისკემ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრებს უმასპინძლა.

რომის პაპმა აღნიშნა, რომ „ტიპური ქართული ჰუმანიზმი, მისი განუმეორებლობითა და მიმზიდველობით, ღირსია საყოველთაო დაფასებისა“.

– ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს ისტორია აღსავსეა სიბნელიდან ნათელში გადასვლის ფაქტებით, თქვენი ქვეყანა ყოველთვის ახერხებდა ფეხზე წამოდგომასა და გაბრწყინებას, მაშინაც კი, როცა საუკუნეების მანძილზე გამუდმებით ექცეოდა უცხოელი დამპყრობლების ბატონობის ქვეშ. თქვენი მუდამ ხალისიანი და მამაცი, სტუმრისა და სიცოცხლის მოყვარე ერი, ყველაზე შავბნელ პერიოდებშიც კი, სწორედ რწმენისა და კულტურის წყალობით ინარჩუნებდა ოპტიმისტურ განწყობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როლი კათოლიკური ეკლესიისა, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართველი ერის კულტურასა და ისტორიას.

თქვენ ამ ღვაწლის გამგრძელებლები ხართ ქართველები, ახალგაზრდებით დაწყებული, იმსახურებენ ფართო გზასა და შესაძლებლობებს. ამავე დროს, ტიპური ქართული ჰუმანიზმი, მისი განუმეორებლობითა და მიმზიდველობით, ღირსია საყოველთაო დაფასებისა, თავისი ხელოვნებით, მუსიკით და სხვა გამომსახველობითი ფორმებით, რომლებიც კიდევ უფრო გამდიდრდება სხვა კულტურებთან პატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობის შედეგად. მაგალითის სახით, აქაც სინათლეს მოვიშველიებ, რომელიც იმისთვის კი არ არსებობს, რომ თვითონ გამოჩნდეს, არამედ იმისთვის, რომ სხვას გაუნათოს ირგვლივ და მის იქით არსებული სივრცე. ასეა კულტურაც, რომელიც ახალ ჰორიზონტებს ხსნის და საზღვრებს აფართოებს. ამიტომაც, გისურვებთ იქცეთ „საამურ შუქად“ ახალგაზრდობისთვის და მადლობას მოგახსენებთ თქვენი საქმიანობისათვის და კიდევ, გთხოვთ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებში, – აღნიშნა რომის პაპმა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრებთან სიტყვით გამოსვლისას.

კიევში გენერალ ვატუტინის ძეგლი აიღეს

კიევში ცნობილი საბჭოთა მხედართმთავრის გენერალ ნიკოლაი ვატუტინის ძეგლი აიღეს. საქართველოში ამ კაცზე ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ სწორედ ვატუტინის სარდლობით საბჭოთა არმიამ 1943 წელს კიევიდან განდევნა ჰიტლერელები.

ნიკოლაი თევდორეს ძე ვატუტინი (1901-1944) ვორონეჟის მახლობლად კულაკის ოჯახში დაიბადა. მამამისი ფლობდა წისქვილს, ჰყავდა მოჯამაგირეები. ვატუტინმაც იმ დროისათვის არცთუ ცუდი განათლება მიიღო. სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში. სწორედ აქ მოუსწრო რევოლუციამ. ვატუტინი მაშინ 16 წლის იყო. ამ ასაკში ჭაბუკების უმრავლესობა პოლიტიკით ინტერესდება და იდეალებს ეთამაშება. ვატუტინს ეს არ ახასიათებდა. რევოლუციურ მოვლენებში ის არ მონაწილეობდა, წითელ არმიაში კი მხოლოდ 1920 წელს მობილიზაციის შედეგად მოხვდა. როგორც სამხედრომ, მან შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა და ნიჭი გამოავლინა. ამიტომაც გაიარა გზა რიგითი წითელარმიელიდან გენერლობამდე.

უკვე 1920-22 წლებში ახალგაზრდა ვატუტინს უკრაინელ პარტიზანებთან შეჯახება მოუხდა. ის მონაწილეობდა როგორც მახნოელებთან, ისე პეტლიურووელებთან ომებში. ამან განსაზღვრა მისი შეხედულებებიც. ვატუტინი ჩამოყალიბებული უკრაინოფობი გახდა. გენერალი ვლასოვი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების მხარეს გადავიდა, ამბობდა:

ვატუტინი აცხადებდა, რომ უკრაინელთა ეროვნული ხასიათის უმთავრესი თვისებებია ამბიციურობა და ღალატი! ისინი მუდამ ზურგში გვესროდნენ. ასე იყო პეტრე დიდის ეპოქაში და შემდეგ, უკვე სამოქალაქო ომის წლებში.

1943 წელს საბჭოთა არმია ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ უკრაინაში შეიჭრა. ერთი ოკუპანტი მეორემ შეცვალა. ვატუტინი, რომელიც იმხანად უკვე გენერალი იყო, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდა. მისი ბრძანებით 16-17 წლის ბიჭებს ჯარში იწვევდნენ და ყოველგვარი მომზადების გარეშე ფრონტზე აგზავნიდნენ. ხშირ შემთხვევაში მათ იარაღს არ ურიგებდნენ, აქაოდა უკრაინელებმა შეიძლება ზურგში გვესროლონო.

ვატუტინმა შეძლო კიევის აღება. ეს უამრავი უკრაინელის სიცოცხლის ფასად მოხდა. ამიტომაც ბანდერელთა ორგანიზაციამ გენერალი დაუსწრებლად გაასამართლა და სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენი 1944 წელს აღსრულდა, როცა ვატუტინი მანქანით კორეციდან როვნოს მიმართულებით მიემგზავრებოდა. ბანდერელები მას ჩაუსაფრდნენ. ატყდა სროლა. თანახმად უკრაინელი ისტორიკოსის, პროფესორ სერგიიჩუკის ცნობისა, ვატუტინი მანქანიდან გადმოხტა და გაქცევა სცადა. ამ დროს მან ბარძაყში მძიმე ჭრილობა მიიღო. ჰოსპიტალში გენერალი გარდაიცვალა.

ამბობენ, რომ ვატუტინმა კიევი ნაცისტებისაგან გაათავისუფლა! ეს მართაც ასეა, მაგრამ რითი იყო ვატუტინი ნაცისტებზე უკეთესი? – წერდა უკრაინელი პოეტი, აწ გარდაცვლილი დმიტრო პავლიჩკო.

უკრაინელი პატრიოტები არაერთხელ მოითხოვდნენ კიევში ვატუტინის ძეგლის აღებას. ბოლოს და ბოლოს ეს შესრულდა. სამართალმა, მართალია გვიან, მაგრამ მაინც გაიმარჯვა.

ბაიდენი ბრაზილიის პრეზიდენტს შეხვდა



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი თავის ბრაზილიელ კოლეგას ლულუ და სილვას შეხვდა. განხილულ იქნა ფართო საკითხები, დემოკრატიული სტრუქტურების განმტკიცებიდან, გლობალურ უსაფრთხოებამდე.

აშშ-ის და ბრაზილიის პრეზიდენტებმა დიდი ადგილი დაუთმეს რუსეთ-უკრაინის ომს. მხარეებმა დაგმეს რუსეთის აგრესია, ის, რომ დიქტატორი პუტინი ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს და გამოთქვეს იმედი, რომ ომი ჩქარა დამთავრდება.

ნატოს გენერალური მდივანი თანამდებობას დადგენილ ვადაში დატოვებს

ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი თანამდებობას ამა წლის გაზაფხულზე დატოვებს. ამ დროს მას ეწურება უფლებამოსილება.

– სტოლტენბერგს არ სურს თავისი მანდატის გაგრძელება, – იტყობინება „რბკუკრაინა“.

მნვავე შეტაკებები კვლავაც დონბასშია

ყველაზე ცხელი წერტილებია ბახმუტი, უგლედარი, მარინკა და ავდეევკა.

უკრაინულმა არმიამ ბახმუტთან რუსების შეჩერება შეძლო. უკვე მეოთხე დღეა, რაც ფრონტის ხაზი არ იცვლება. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კრასნაია გორას აღების თაობაზე, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– კერძო სამხედრო კომპანია ვაგნერის დამაარსებელმა პრიგოჟინმა განაცხადა, რომ თითქოს მისმა ბანდებმა კრასნაია გორა აიღეს. ეს სიცრუეა! – იტყობინება ტელეკომპანია „პრიამიი“.

სასტიკი ბრძოლებია სოლედარის გარეუბნებშიც. რუსი ოკუპანტების მცდელობა, წინ წაიწიონ, უშედეგოა.

ასევე სისხლისმღვრელი ბრძოლებია მარინკასა და ავდეევკასთან. რუსებმა უკრაინელთა თავდაცვის გარღვევა ვერც აქ ვერ შეძლეს.

დრამატული მოვლენები განვითარდა უგლედართან. აქ უკრაინელებმა რუსი საზღვაო ქვეითების მთელი ბატალიონი გაანადგურეს. ცოცხალ ძალასთან ერთად განადგურებულია 36 ტანკი და 34-მდე საბრძოლო მანქანა. უზარმაზარი დანაკარგია ოკუპანტების ცოცხალ ძალაში. აღსანიშნავია, რომ უგლედართან უკრაინელებმა მხოლოდ 2 ტანკი დაკარგეს. რუსი ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. მარცხმა ისინი გააბოროტა და მათ უგლედარს ქვემეხები დაუშინეს. ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული.

გააფთრებული ბრძოლებია უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც. უკრაინელმა არტილერისტებმა ზაპოროჟიეს ოლქში ოკუპანტების მთელი კოლონა გაანადგურეს. პარალელურად ოკუპირებულ მელიტაპოლში პარტიზანთა აქციები არ წყდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციებისა, ქალაქში გამუდმებული აფეთქებებია. რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, გაანადგურონ პარტიზანები, უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, ოკუპანტების რიგებში უდიდესი დანაკარგებია.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო სისხლისმღვრელ ხასიათს იღებს. ამან ოკუპანტების რიგებში დანაკარგების ზრდა განაპირობა. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.280, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.488, არტილერია – 2.287, РСЗО – 465, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 234 თვითმფრინავები – 296 ვერტმფრენები – 286, БПЛА – 2007, ფრთოსანი რაკეტები – 857, განადგურებულია – 138.080 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები.

პოლონეთის პრეზიდენტმა დასავლეთის ქვეყნებს მიმართა

პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ დასავლეთის ქვეყნებს მიმართა. მან გამოთქვა კმაყოფილება იმით, რომ უკრაინას პეტრიოტების გადაცემას შეჰპირდნენ. ამავე დროს დასავლური იარაღი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაეცეს უკრაინას. დუდამ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა მებრძოლთა დეფიციტს არ განიცდის; იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დეფიციტი კი უზარმაზარია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

საქართველომ მეტოქეები აზიაში შეარჩია

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 2023 წელს ორ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ვილი სანიოლის გუნდი ამ მატჩებს სანაკრებო ფანჯრებისას თავისუფალ დღეს გამოიყენებს.

შედეგად, პირველ ამხანაგურ მატჩს ვილი სანიოლის გუნდი 25 მარტს მონღოლეთის ნაკრებთან ითამაშებს; 12 ოქტომბერს კი, აზიის ზონის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ტაილანდს დაუპირისპირდება.

საქართველო-მონღოლეთის მატჩი 25 მარტს ბათუმი არენაზე შედგება. საქართველო-ტაილანდის მატჩის მასპინძელი სტადიონი კი, ცნობილი მოგვიანებით გახდება.

ვერ გეტყვით, რა ჩანაფიქრი აქვს ვილი სანიოლისა და ფედერაციას, ან რა კრიტერიუმებით შეირჩა მეტოქე გუნდები, ან საერთოდ რას მოგვცემს მსოფლიო რეიტინგში 183-ე ადგილზე მყოფ მონღოლეთთან და 111-ე ადგილზე მყოფ ტაილანდთან თამაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ხოსეპ გვარდიოლა: „ჩემპიონობის შანსი ისევ გვაქვს“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ასტონ ვილას დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს ჩემპიონობის შანსი ისევ აქვს და არსენალი არც ისე შორს არის: „ასტონ ვილასთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ და ჩემპიონობის შანსი ისევ გვაქვს. მინდა, რომ გულშემატკივარს ჩვენი წარმატების სჯეროდეს და მათ იმედი არ გავუცრუოთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯასეიდოსკოპი

პრინცი ჰარი და მეგან მარკლი კარლოს III-ის მეფედ კურთხევაზე მიიწვიეს

პრინცი ჰარი და მეგან მარკლი შეყვანილი არიან კარლოს III-ის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე დამსწრე სტუმრების სიაში.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ხელისუფლება დაკავებულია საგანგებო გეგმის შემუშავებით, რათა სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას დასწრებამ რაიმე სახის კონფლიქტი არ გამოიწვიოს, რისი მიზეზიც შესაძლებელია გახდეს პრინც ჰარის მიერ საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში სამეფო ოჯახის მიმართ გამოთქმული ბრალდებები.

– ისინი სტუმრების სიაში არიან შეყვანილი და დაგეგმვა სრული სვლით მიმდინარეობს, რათა ღონისძიებამ რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიაროს, – განაცხადა პრესასთან ვესტმინსტერის წარმომადგენელმა.

კერძოდ, ბრიტანელ ჩინოსნებს არ სურთ, რომ ღონისძიებაზე პრინცი ჰარი და პრინცი უილიამი საზოგადოების წინაშე ერთად გამოჩნდნენ. მოსალოდნელია, რომ ვესტმინსტერის სააბატოში სტუმრებს ისე განათავსებენ, რომ ძმების ფოტოსურათებზე ერთად დაფიქსირება შეუძლებელი გახდეს.

მამაკაცმა მოპარულ ნახმარ ქალის საცვლებში თავისი სექსთოჯინა გამოაწყო

დიდი ბრიტანეთის ქალაქ არბორტის მკვიდრი პოლიციამ მას შემდეგ გამოიჭირა, რაც მან ოთხი ბინიდან თოკზე გასაშრობად გამოკიდებული ქალის საცვლები მოიპარა.

გრეჰემ ორიკს არაერთხელ მოუპარავს ნახმარი ბავშვისა და ქალის საცვალი და მას თავის გასაბერ სექსთოჯინას აცმევდა. მამაკაცმა ოთხი მისამართიდან რამდენიმე წყვილი ქვედა საცვალი, ბიუსტჰალტერი, ქალის საცურაო კოსტიუმი და სხვა ჩასაცმელები მოიპარა.

2022 წლის ივნისში მამაკაცი, რომელმაც საცხოვრებელი სახლის პირველი სართულიდან თოკზე გაფენილი შავი ფერის საცვლების სამი კომპლექტი მოიპარა, სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. ერთი კვირის შემდეგ ის ისევ დაბრუნდა, რათა ამჯერად ბიკინი მოეპარა, ორი კვირის შემდეგ კი ორი ბიუსტჰალტერი და ბავშვის საცურაო კოსტიუმი მოიპარა ბინიდან, რომელიც პირველისგან ოდნავ მოშორებით მდებარეობდა.

ამის შემდეგ მან მესამე ბინის სარეცხი თოკი შეიგულა, საიდანაც ჩამოხსნა და მოიპარა ორი წყვილი ჯინსების მოკლე შარვალი, მაისური და ორი ცალი შავი და წითელი ფერის ქალის საცვალი. მეორე საღამოს ის შეიპარა მეზობელ ეზოში და ხელს გააყოლა ორი ცალი გოგონას ტრუსი და ქალის შავ-ვარდისფერი პიჟამო.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციამ მამაკაცის დაპატიმრება მოახერხა. ჩხრეკის დროს მისი ბინიდან ათეულობით მოპარული საცვალი და სხვა ჩასაცმელები ამოიღეს.

დაპატიმრების შემდეგ მამაკაცის სახელი შეიტანეს სექსუალური დამნაშავეების რეესტრში და გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სასამართლომდე მას უფლება აქვს, სახლიდან დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე გამოვიდეს. გასული წლის სექტემბერში მან აღიარა, რომ ეს პირობა დაარღვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სუპერლიგაში სიჯუაცია დაიძაბა

თსუ-კაკტუსი 100:84
(28:12; 23:23; 20:25; 29:24)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საკუთარი თამაში იპოვა და მეორე წრეში დაუმარცხებელია. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.

მართალია, ჩემპიონატის ლიდერი გვარიანი დანაკლისით შეხვდა თსუ-ს, მაგრამ სტუდენტთა გამარჯვებას ეს ფაქტი არ აკნინებს – ლაფანაშვილის გუნდმა, რომელსაც თავის მხრივ ნაკრების რეკორდსმენი წევრი, გიორგი ცინცაძე აკლდა, დამსახურებულად გაიმარჯვა.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ კაკტუსს ერთბაშად 3 ლეგიონერი აკლდა. მაილს დანიელსი, ჯეისონ კოპმანი და სედრიკ ალლეი ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის გამო არ თამაშობდნენ. შესაბამისად, კაკტუსი თავიდანვე განწირული ჩანდა და საბოლოოდ ასეც მოხდა. თსუ-მ შეხვედრა დამაჯერებელი სხვაობით – 100:84 მოიგო, თუმცა იყო მომენტები, როცა კაკტუსელებმა ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირეს და იყო შანსი, თამაში დაძაბულიყო, მაგრამ... უნივერსიტეტელთა ლეგიონერები – ჯიმონ ჰენსონი, მალკოლმ დრამრაითი და კორი ბოუენი სტაბილურად თამაშობდნენ, რომლებსაც ქართველი მოთამაშეები – ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი, ივა მეგენეიშვილი, ნოდარ გოგოძე, ნიკოლოზ დარბაიძეც ეხმარებოდნენ და თამაში ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

თსუ-ს ბექაურმა ულიდერა, რომელმაც შთამბეჭდავი სტატისტიკა დააფიქსირა: 19 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება; ჰენსონმა 24 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი დააგროვა; დრამრაითის ანგარიშზე კი, 16 ქულა და 5-5 მოხსნა-პასია; კაკტუსში საუკეთესო შედეგი რაიან ალენმა დააფიქსირა – 20 ქულა, 4 პასი.

ვერა-კავკასია 76:83
(22:19; 11:24; 24:18; 19:22)

სუპერლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი ბოლოადგილოსანს შეხვდა. ვერამ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ დებიუტანტისა და ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. კავკასიას, რომელმაც კაკტუსთან ერთად პირველი წრე ლიდერის ამპლუაში დაასრულა, მეორე წრეში ორივე შეხვედრა ჰქონდა წაგებული და აუტსაიდერად მოგების შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

ბექა წიფწიკაძის გაწვრთნილ კავკასიას 2 მოთამაშე აკლდა – ლიდერი ილია ლონდარიძე და ახალგაზრდა გამთამაშებელი ლევან ქვარცხავა. მიუხედავად ამისა, კავკასიას არ გასჭირვებია გამარჯვების მოპოვება. საბოლოო ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 7 ქულაა, მაგრამ ვერელებმა მას შემდეგ შეამცირეს სხვაობა, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. 3 წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა კრის მაკნილის ორქულიანის შემდეგ კავკასია 82:63 დაწინაურდა. აქ ყველაფერი გაირკვა და დარჩენილ დროში კავკასია უპრობლემოდ მივიდა გამარჯვებამდე – 83:76.

გამარჯვებულებს 21-21 ქულით ჯასტინ ფორესტმა და კრის მაკნილმა ულიდერეს; მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი აიზია ელისმა გაიფორმა – 13 ქულა, 10 მოხსნა; ვერაში 16 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო კაიდენ რაისი; ვახტანგ გოგბერაშვილმა 10 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

მარგვეთი-რუსთავი 63:90
(16:24; 17:16; 12:22; 18:28)

მესამე ადგილზე გადაინაცვლა რუსთავმა. ქვემოქართლურმა გუნდმა პირველი წრის შუაში განცდილი რამდენიმე მარცხის შემდეგ საკუთარი თამაში იპოვა და წარმატებულ სვლას განაგრძობს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა ამჯერად მარგვეთი დაამარცხა – 90:63. ანგარიშიდან ჩანს, ბრძოლა არ შედგა.

რუსთაველებმა ზედიზედ მე-5 გამარჯვება მოიპოვეს და საერთო მონაგარით სუპერლიგის ლიდერებს შეუერთდნენ.

რუსთაველებმა დღევანდელ მატჩში მეტოქეს მხოლოდ ერთი პერიოდი, ისიც 1 ქულით დაუთმეს. ეს მოხდა მეორე ათწუთეულში, რომელიც ჩერქეზიშვილის გუნდმა 17:16 მოიგო. რაც შეეხება დანარჩენ პერიოდებს, რუსთაველებმა საწყისი მეოთხედი 24:16 მოიგეს, მესამეში მეტოქეს 22:12 აჯობეს, ხოლო მესამეში – როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მეტოქე მაინც არ დაინდეს და 28:18 ძლევით საბოლოოდ 27-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს.

საუკეთესო სტატისტიკა რუსთავის ვეება ცენტრ ეივერი დიგსს ჰქონდა, რომელმაც 14 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა; სარგებლიანობის კოეფიციენტით დიგსმა (30) ოდნავ აჯობა ლუკა ბულაშვილს (28), ვინც 24 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 6 ჩაჭრა გაიფორმა; გუგა პატაშურმა გამარჯვებაში ორმაგდუბლიანი წილი დაიდო – 17 ქულა, 11 მოხსნა; მარგვეთში 27 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო მარქუს გილსონი.

ოლიმპი-ქუთაისი 92:77
(18:13; 24:25; 24:20; 26:19)

საქართველოს ნაკრების წევრის, კახა ჯინჭარაძის დიდებული დებიუტის მიუხედავად, მოქმედმა ჩემპიონმა ქუთაისმა სუპერლიგის მორიგი შეხვედრა ისევ დათმო. იმერულ კლუბს ოლიმპმა უმასპინძლა და ზედმეტი გართულების გარეშე – 92:77 მოუგო.

კახა ჯინჭარაძემ სუპერლიგაში ბოლო მატჩი გასული სეზონის ფინალურ სერიაში, სწორედ ქუთაისის წინააღმდეგ ჩაატარა, რის შემდეგაც ერაყში გადაბარგდა და მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი აზიაში გაატარა. აზიიდან კი, ქუთაისმა დაიმატა და დებიუტიც თავის ყოფილ გუნდთან – ოლიმპთან ჰქონდა. ჯინჭარაძემ 33 წუთში 30 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა, მაგრამ ახალ გუნდს მაინც ვერ უშველა.

ოლიმპის მხრიდან შეუჩერებელი იყო ლინტონ ელაისი, რომელმაც 29 ქულა, 9 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა. თუმცა, მხოლოდ ელაისი არა, ოლიმპის ყოჩაღი და გამრჯე ბიჭებიც მშვენივრად თამაშობდნენ და როგავას გუნდმაც სწორედ გუნდური თამაშის წყალობით მოახერხა მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება.

დელტა-ბათუმი 68:76
(21:22; 11:20; 20:14; 16:20)

გურჯაანის დელტა სატრანსფერო კუთხით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა არაერთი ცვლილება განახორციელა – ჩამოიყვანა ლეგიონერები და სასურველი კალათბურთელი ქართული გუნდიდანაც შეიმატა. და მაინც, სწორედ იმ გუნდთან დამარცხდნენ, რომლიდანაც მოთამაშე პირველი წრის შემდეგ დაიმატეს.

საუბარია ბათუმზე, სადაც სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ათლეტური ლეგიონერი, დერიკ ნიუტონი თამაშობდა. ეს კალათბურთელი დელტაში გადავიდა და მის გარდა, გურჯაანელებმა ჩემპიონატის დაწყების შემდეგ, კიდევ 2 ლეგიონერი და ერთი რიგიანი ქართველი ცენტრი – გეგი ბაქრაძე დაიმატეს, მაგრამ შედეგზე ეს არ ასახულა.

დელტამ სუპერლიგის მიჯრით მე-7 მატჩი წააგო. მართალია, ამჯერად ბრძოლაში დათმეს, მაგრამ ეს ცხრილზე ვერანაირ ცვლილებას ვერ მოახდენს.

აღსანიშნავია, რომ ტრანსფერები ბათუმელებმაც განახორციელეს და მათ როტაციას მყისიერი შედეგი მოჰყვა.

ბათუმელებმა თანაბარი მატჩის ბოლო პერიოდში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და ისე კლასიკურად ჩაითამაშეს დარჩენილი დრო, რომ მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. საბოლოოდ 76:68 და სუპერლიგაში ეს ბათუმელთა ზედიზედ მე-4 გამარჯვებაა.

აჭარელებს ტრადიციულად რაილი რიდლიმ ულიდერა, რომელმაც 23 ქულა და 5 პასი მიითვალა; 18 ქულა და 9 მოხსნა სოსო გოგნაძის ანგარიშზეა; დელტაში 21 ქულით ოთარ ფხაკაძე გამოირჩა; გეგი ბაქრაძის ანგარიშზე კი 10 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.კაკტუსი	13	9	4	1016-1003	22
2.კავკასია	13	9	4	1055-1033	22
3.რუსთავი	13	9	4	1153-1018	22
4.ოლიმპი	12	9	3	1015-938	21
5.თსუ	13	8	5	1105-1051	21
6.ბათუმი	13	7	6	1103-1062	20
7.დელტა	13	5	8	1046-1041	18
8.მარგვეთი	13	4	9	986-1082	17
9.ტიტები	12	4	8	988-1029	16
10.ქუთაისი	12	4	8	966-1021	16
11.ვერა	13	2	11	987-1142	15

შემედგები

12 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიტეტი

ლიდსი-მანჩესტერი 0:2
სიტი-ასტონ ვილა 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	21	16	3	2	46-18	51
2.სიტი	22	15	3	4	56-22	48
3.მანჩესტერი	23	14	4	5	38-28	46
4.ნიუკასლი	22	10	11	1	35-13	41
5.ტოტენჰემი	23	12	3	8	42-35	39
6.ბრაიტონი	21	10	5	6	39-28	35
7.ფულემი	23	10	5	8	34-30	35
8.ბრენტფორდი	22	8	10	4	36-29	34
9.ჩელსი	22	8	7	7	23-22	31
10.ლივერპული	20	8	5	7	34-28	29
11.ასტონ ვილა	22	8	4	10	26-34	28
12.კრ.პალასი	22	6	7	9	20-30	25
13.ლესტერი	22	7	3	12	36-38	24
14.ნოტინგემი	22	6	6	10	17-37	24
15.ვულვზი	22	6	5	11	17-31	23
16.ვესტ ჰემი	22	5	5	12	19-27	20
17.ლიდსი	22	4	7	11	28-38	19
18.ევერტონი	21	4	6	11	16-28	18
19.ბორნმუთი	22	4	6	12	20-44	18
20.საუთჰემპტონი	22	4	3	15	18-40	15

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰერტა-გლადბახი 4:1
კიოლნი-აინტრახტი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	20	12	7	1	59-18	43
2.უნიონი	20	13	3	4	35-24	42
3.დორტმუნდი	20	13	1	6	40-26	40
4.ფრაიბურგი	20	11	4	5	32-31	37
5.ლაიფციგი	20	10	6	4	40-26	36
6.აინტრახტი	20	10	5	5	40-29	35
7.ვოლფსბურგი	20	8	6	6	38-26	30
8.ლევერკუზენი	20	8	3	9	33-32	27
9.ვერდერი	20	8	3	9	31-39	27
10.გლადბახი	20	7	5	8	35-34	26
11.კიოლნი	20	6	8	6	32-31	26
12.მაინცი	20	7	5	8	30-32	26
13.აუგსბურგი	20	6	3	11	25-36	21
14.ჰოფენჰაიმი	20	5	4	11	29-39	19
15.ბოხუმი	20	6	1	13	24-49	19
16.ჰერტა	20	4	5	11	24-36	17
17.შტუტგარტი	20	3	7	10	23-36	16
18.შალკე	20	2	6	12	14-41	12

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-ბრაუნშვაიგი 2:1
ზ.პაული-კაიზერი 1:0
ფორტუნა-ზანდჰაუზენი 2:0

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

ხეტაფე-რაიო 1:1
სელტა-ატლეტიკო 0:1
ვალიადოლიდი-ოსასუნა 0:0
ვილიარეალი-ბარსელონა 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	21	18	2	1	43-7	56
2.რეალი	20	14	3	3	40-17	45
3.სოსიედადი	20	12	3	5	28-19	39
4.ატლეტიკო	21	11	5	5	30-17	38
5.ბეტისი	21	10	4	7	27-22	34
6.რაიო	21	9	6	6	28-23	33
7.ბილბაო	21	9	5	7	31-22	32
8.ვილიარეალი	21	9	4	8	22-18	31
9.ოსასუნა	21	8	6	7	19-19	30
10.მალიორკა	21	8	4	9	16-20	28
11.ხირონა	21	6	6	9	27-31	24
12.სევილია	21	6	6	9	23-29	24
13.ვალიადოლიდი	21	7	3	11	15-28	24
14.სელტა	21	6	5	10	22-33	23
15.ალმერია	21	6	4	11	25-34	22
16.კადისი	21	5	7	9	17-33	22
17.ესპანიოლი	20	4	9	7	24-30	21
18.ვალენსია	21	5	5	11	26-26	20
19.ხეტაფე	21	4	7	10	18-28	19
20.ელჩე	20	1	6	13	15-40	9

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-მალაგა 3:2
ოვიედო-ბურგოსი 0:1
ხიხონი-უესკა 1:1
ეიბარი-კარტახენა 0:3
იბიცა-პონფერადინა 1:1

იტალია. სერია ა

უდინეზე-სასუოლო 2:2
ბოლონია-მონცა 0:1
იუვენტუსი-ფიორენტინა 1:0
ნაპოლი-კრემონეზე 3:0

ნაპოლის პირველი გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	22	19	2	1	54-15	59
2.ინტერი	21	14	1	6	41-26	43
3.ატალანტა	22	12	5	5	41-24	41
4.მილანი	22	12	5	5	38-30	41
5.რომა	22	12	5	5	29-19	41
6.ლაციო	22	11	6	5	37-19	39
7.უდინეზე	22	7	9	6	30-25	30
8.ტორინო	22	8	6	8	22-23	30
9.იუვენტუსი	22	13	5	4	34-17	29
10.მონცა	22	8	5	9	28-30	29
11.ბოლონია	22	8	5	9	28-32	29
12.ემპოლი	22	6	9	7	21-28	27
13.ლეჩე	22	5	9	8	22-25	24
14.ფიორენტინა	22	6	6	10	23-29	24
15.სასუოლო	22	6	6	10	26-33	24
16.სალერნიტანა	21	5	6	10	25-41	21
17.სპეცია	22	4	7	11	19-37	19
18.ვერონა	21	3	5	13	19-33	14
19.სამპდორია	21	2	4	15	10-36	10
20.კრემონეზე	22	0	8	14	15-40	8

შენიშვნა:
იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

იტალია. სერია ბ

ბარი-კოზენცა 2:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ტულუზა-რენი 3:1
ანჟე-ოსერი 1:1
ლილი-სტრასბური 2:0
მონპელიე-ბრესტი 3:0
რეიმსი-ტრუა 4:0
ნანტი-ლორიანი 1:0
ლიონი-ლანსი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	23	17	3	3	55-20	54
2.მარსელი	23	15	4	4	45-20	49
3.მონაკო	23	14	5	4	51-30	47
4.ლანსი	23	13	7	3	35-18	46
5.ლილი	23	12	5	6	40-27	41
6.რენი	23	12	4	7	42-28	40
7.ნიცა	23	10	7	6	30-21	37
8.ლორიანი	23	10	6	7	35-35	36
9.ლიონი	23	10	5	8	35-25	35
10.რეიმსი	23	7	12	4	30-26	33
11.ტულუზა	23	9	5	9	39-39	32
12.კლერმონი	23	8	6	9	24-31	30
13.ნანტი	23	6	10	7	24-26	28
14.მონპელიე	23	7	2	14	34-45	23
15.ბრესტი	23	4	8	11	24-38	20
16.ტრუა	23	4	7	12	33-52	19
17.სტრასბური	23	3	9	11	27-41	18
18.აიაჩო	23	5	3	15	18-42	18
19.ოსერი	23	3	6	14	19-47	15
20.ანჟე	23	2	4	17	19-48	10

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

სპარტა-იგლზი 2:1
ვიტესი-უტრეხტი 2:0
ჰერენვენი-ფეინოორდი 1:2
აიაქსი-ვალვაიკი 3:1
ტვენტე-ვოლენდამი 3:0

პორტუგალია. პირველი ლიგა

ფამილიკაუ-ჟილ ვისენტე 0:1
სპორტინგი-პორტუ 1:2
მარიტიმუ-ბრაგა 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-ანტვერპენი 0:1
ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 3:1
სტანდარდი-კორტრაიკი 0:2
ვარეგემი-ოსტენდე 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-ლინცერი 0:1
რიდი-ჰარტბერგი 0:1
აუსტრია-კლაგენფურტი 3:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შერმადინის კიდევ ერთი ტიტული

გიორგი შერმადინის ტენერიფემ საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. FIBA-ს ეგიდით მიერ გამართული კონტინენტური კლუბური ტურნირების გამარჯვებულებმა თავი ტენერიფეში მოიყარეს, სადაც მასპინძელთა გუნდთან ერთად ამერიკული ვაიპერსი, ბრაზილიური სან პაულუ და ტუნისური მონასტირი შეიკრიბნენ.

ნახევარფინალში ტენერიფელებმა 112:42 გაანადგურეს მონასტირი. შერმადინმა 11:36 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ფინალში კი, კუნძულელებმა ბრაზილიური სან პაულო 89:68 დაამარცხეს. აქ შერმადინმა 19:36 წუთი ითამაშა და 12 ქულა, 6 მოხსნა მოინაგრა.

ეს ტენერიფელთა მესამე საკონტინენტთაშორისო თასია. მანამდე ესპანურმა გუნდმა იგივე 2010 და 2017 წელს გაახერხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 2. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 3. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. თბილი მოსასხამი; 7. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 9. იაპონური მაფია; 13. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი.

თარაზულად: 1. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 3. სუფრის ხელმძღვანელი; 8. თხელი ფურცლოვანი რკინა; 10. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 11. ხრახნული კონვეიერი; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 15. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 16. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 19. პიესა „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟი; 20. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. დამჟავებული ბოსტნეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაკხანალია; 2. მიზერი; 3. ქუთაისი; 4. ფობია; 5. ჰარვარდი; 6. ვისკი; 7. მექსიკა; 9. კახასა; 13. მესხი; 17. სვია; 18. რძე.

თარაზულად: 1. ბუდიზმი; 3. ქარაფი; 8. ლაღიძე; 10. დესპანი; 11. ჩარხი; 12. ბაღდათი; 14. ფაუსტი; 15. კაიზერი; 16. დასტა; 19. მახათა; 20. სააკაძე; 21. ახტალა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბრინჯაო; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. კამორა; 5. სიმპათია; 7. ერბო; 11. დემარში; 13. სულგუნი; 15. კოლტი; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

თარაზულად: 6. რაველი; 8. ბულიმია; 9. წუმწუმა; 10. ჯოკონდა; 12. დირსი; 14. მანათი; 17. კალმასობა; 21. სტოუნი; 22. შვეცია; 23. მონოტიპი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

14 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6619

ევრო — 2.8429

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2044

100 რუსული რუბლი — 3.6128

ამინდის პროგნოზი 14 თებერვლისათვის



კვარაცხელიამ თავის დაბადების დღეზე გაიტანა

ხვიჩა კვარაცხელია 12 თებერვალს 22 წლის გახდა და აღსანიშნავია, რომ მან ამ დღეს გოლი შეხვედრის 22-ე წუთზე გაიტანა. ხვიჩამ ეს კრემონეზეს წინააღმდეგ გააკეთა. ნაპოლიმ მატჩი 3:0 მოიგო. ყველა მოგებული თამაშის შემდეგ ნაპოლი სულ უფრო და უფრო უახლოვდება სანუკვარ ტიტულს, ანუ იტალიის ჩემპიონობას. სპალეტიმ ხვიჩა ისევ შეაქო და თქვა, რომ ის გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია.

ხავი: „თითქმის იდეალურად ვითამაშეთ“

ბარსელონამ სტუმრად ვილიარეალი დაამარცხა და გუნდმა კიდევ უფრო გაიმყარა თავისი ლიდერობა. მატჩის შემდეგ ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ხავი კმაყოფილებას არ მალავდა და მისი თქმით, ბარსელონა ძალიან კარგ ფორმაშია: „ბარსელონა თითქმის ოპტიმალურ კონდიციებშია და ყველა ფეხბურთელმა იცის, მოედანზე რა უნდა გააკეთოს. იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე ფორმას არ დავკარგავთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

შვილი მამას ეკითხება:
– მამიკო, რა ერქვა ადამის სიდედრს?
– ადამს სიდედრი არ ჰყავდა, სამოთხეში ცხოვრობდა.

•••

ჩანაწერი ავადმყოფი მამაკაცის ისტორიაში:
– ავადმყოფმა არ იცოდა, რომ როდესაც ის ქალებში დადიოდა, მისი ცოლი კარატეზე დადიოდა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:
– გახსოვს, დილით ოთახებში რომ დავრბოდი და გახარებული ვყვიროდი: „ვაშაა! როგორც იქნა, ვიპოვე ეს ოხერი გასაღებები!!!“
– მახსოვს, მერე?
– იმის მერე სად შევინახე გასაღებები, ხომ არ დაგინახავს?

•••

შუაღამისას მოხუცი პოლიციაში რეკავს და ეუბნება:
– ჩემს ბაღჩაში ქურდები არიან და მთელ ჩემს მოსავალს იპარავენ.
– ბოდიში, მაგრამ ახლა არცერთი თავისუფალი საპატრულო ეკიპაჟი არ გვყავს.
ხუთი წუთის შემდეგ მოხუცი ისევ რეკავს და ამჯერად ეუბნება:
– შეგიძლიათ, აღარ მოხვიდეთ, ყველანი ადგილზევე დავცხრილე.
სამ წუთში ადგილზე ხუთი საპატრულო ეკიპაჟი გაჩნდა. მათ მიჰყვა სპეცდანიშნულების რაზმი. ქურდები დაიჭირეს. ამ დროს პოლიციის უფროსი მოხუცს ეუბნება:
– შენ ხომ თქვი, ყველანი დავხოცეო.
– მასე მეც მითხრეს, რომ საპატრულო ეკიპაჟები არ ჰყავდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მზია ორველაშვილმა მსახიობობა დაიწყო

მოცეკვავე მზია ორველაშვილი სულ მალე მაყურებლის წინაშე ახალ ამპლუაში გამოჩნდება.

„ტესტი“ – ასე ეწოდება სერიალს, რომლის ნახვაც 25 თებერვლიდან იქნება შესაძლებელი.

სერიალის რეჟისორი გიორგი კვაბზირიძეა და მისი ნამუშევრის ხილვა მაყურებელს იუთუბზე შეეძლება.

„მგზავრები“ ახალი ალბომის პრეზენტაციას გამართავს

8 მარტს ჯგუფი „მგზავრები“ ახალი, რიგით მე-8 ალბომის პრეზენტაციას გამართავს.

ალბომის სახელწოდებაა „კამარა“. მასში 10 სიმღერაა გაერთიანებული. ის მშობლებისადმი მადლიერების გამოხატვას და იმ მოგონებებს ეძღვნება, რომელიც ჯგუფის წევრებისთვის ყველაზე ძვირფასია, რადგან მათ, რთული დღეების მიუხედავად, ბედნიერი ბავშვობის შექმნა შეძლეს.

ახალი ალბომიდან ერთ-ერთ სიმღერაზე „ვალსი“ ჯგუფმა ვიდეორგოლიც გადაიღო და ინტერნეტში განათავსა. ნამუშევარმა ათასობით მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა.

დავით შემოქმედელი ცერემონიალების სასახლეში ქართული კულტურის ცენტრის განთავსებას ითხოვს

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს დავით შემოქმედელს დიდი სურვილი აქვს, რომ საქართველოში ქართული კულტურის ცენტრი „რუსთაველის სასახლე“ გვქონდეს:

– წარმოუდგენელია, რომ საქართველოში არა გვაქვს ქართული კულტურის ამგვარი ცენტრი. თავის დროზე სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წესდებაში ჩაიწერა, რომ ამ საზოგადოების ერთ-ერთი მიზანი „რუსთაველის მუზეუმის“ დაარსება არისო. ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ რუსთაველთან და მის „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული მუზეუმი. ხოლო ის, რომ დაარსებულიყო „რუსთაველის სასახლე“ – ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი, დაახლოებით იმგვარი, როგორიცაა „გოეთეს სახლი“ გერმანიაში, „პომპიდუს ცენტრი“ საფრანგეთში, „იაპონიის სახლი“ ოსაკაში, „ჰელსინკის სახლი“ ფინეთში და სხვა. ეს იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაგვებადა ცნობილ არქიტექტორს, შემდგომში რუსთაველის საზოგადოების მრჩეველს, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილსა და თქვენს მონა-მორჩილს. აღმოჩნდა, რომ ბატონ გიგასა და მე ამ საკითხში ერთნაირი ხედვა გვქონდა.

როცა რუსთაველის მოედანზე „მაკდონალდსის“ შენობის მშენებლობა დაიწყეს, გურამ შარაძემ პროტესტი განაცხადა: ამ მოედანზე, რუსთაველის ძეგლის გვერდით, „რუსთაველის მუზეუმი“ უნდა გაკეთდესო.

2015 წელს ბატონი გიგა ბათიაშვილი და მე ორჯერ გახლდით საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, გავაცანით ჩვენი იდეა. მოიწონა და დახმარება აღგვითქვა. პირველ შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. ბატონმა ბიძინამ გვითხრა, რომ დაგვეწერა კონცეფცია და გაგვეცნო. 10 დღის შემდეგ ისევ შევხვდით მას და გავაცანით ჩვენი კონცეფცია, მოიწონა.

ჩვენი კონცეფციის მთავარი პრინციპი იყო: საქართველო და მსოფლიო ცივილიზაცია, ანუ რა შევმატეთ ჩვენ კულტურულ მსოფლიოს, რა გვაქვს საკაცობრიო მნიშვნელობისა, რითაც გავამდიდრეთ დანარჩენი სამყარო.

ჩამოვთვლით მცირე ნაწილს: ეს იქნებოდა, ქართული ცივილიზაციის სათავეებიდან დაწყებული – ზეზვა და მზია, მედეას მითი, ოქროს საწმისი, ქართული ანბანი, უძველესი ხელნაწერები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ჰიმნოგრაფია, საერო მწერლობა, პოლიფონიური მუსიკა, მხატვრობა, ცეკვა, თეატრი, კინო და მრავალი სხვა. აქედან ყველაფერი რჩეული, რასაც მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულება გააჩნია.

კონცეფციაში გათვალისწინებული იყო ისიც, „რუსთაველის სასახლეში“ მიიღებდნენ უცხო ქვეყნების პრეზიდენტებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ სტუმრებს და მათ გააცნობდნენ კიდეც ქართულ კულტურას. ქართული კულტურის ცენტრი იქნებოდა საქართველოს მთავარი სავიზიტო ბარათი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალი ლატარიაში ჯეკპოტის მოხსნისგან გამოწვეულ მღელვარებას კინაღამ ემსხვერპლა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა რენე შელბიმ ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა, მღელვარებისგან სულის ხუთვა დაემართა და საკუთარი შვილი საკმაოდ შეაშინა.

ქალმა ლატარიის ბილეთი თვითმომსახურების აპარატში შეიძინა. შელბის თქმით, მას ადრე რამდენჯერმე ჰქონდა მოგებული ფული ავტომატით შეძენილი ლატარიის ბილეთებით.

ბილეთების მორიგი შეძენის შემდეგ შელბი მანქანაში ჩაჯდა, დამცავი ფენა გადაფხიკა და დაინახა, რომ 300 ათასი დოლარი მოიგო.

– მაშინვე შვილს დავურეკე. ჩემი ხმის გაგონებაზე მან იფიქრა, რომ ჩემთვის სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდებოდა, ვინაიდან ჩათვალა, რომ სულის ხუთვა დამემართა, – განაცხადა ქალმა, რომლის მტკიცებით, მღელვარებისგან სიტყვის თქმასაც კი ველარ ახერხებდა.

ქალის თქმით, ის მოგებული თანხის სამომავლოდ გადადებას აპირებს და რომ ამ მოგებამ მას წინ ახალი კარი გაუღო და უამრავი შესაძლებლობა გაუჩინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი



14 თებერვლისათვის

ვერძი – იდეების განხორციელებაში ახალი მფარველები დაგეხმარებიან. საღამოს საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** – გელით ძველ მეგობრებთან შეხვედრა. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ტყუპები** – ყოველმხრივ წარმატებული დღეა. თქვენი შრომა აუცილებლად სათანადო შედეგს გამოიღებს და დაფასდება. **კირჩხიბი** – ნუ იქნებით აგრესიული. ისწავლეთ ემოციების მოთოკვა. ეს თქვენც წაგადგებათ და გარშემომყოფებსაც. **ლომი** – დაიცავით დიეტა. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. იღბლიანი პერიოდია რომანტიკული ურთიერთობისათვის. **ქალწული** – აქტიურობა, საქმისადმი სერიოზული მიდგომა დღეს აუცილებელია. სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. **სასწორი** – ნუ ეცდებით, თქვენი მოვალეობები სხვას გადააბაროთ. ასეთი საქციელი კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ღრიანკალი** – ფული ეკონომიურად ხარჯეთ. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას, მივლინებებს. **მშვილდოსანი** – ძალზე იღბლიანი და წარმატებული დღეა. ყველაფერი იდეალურად გამოგდით. გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა, საქმიანი შეხვედრები რეკომენდებული არ არის. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – ნუ გარისკავთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თევზები** – საკუთარ თავზე უნდა იმუშაოთ. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი ა



შვეულად: 1. მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი; 2. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 3. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ფრანგი მწერალი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 5. სამთო-გამამდიდრებელი კომბინაცია ბოლნისის რაიონში; 6. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 7. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი; 9. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 13. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ძველებური წონის ერთეული საქართველოში უდრიდა 1200 გრამს.

თარაზულად: 1. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 8. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. კერძო მეწარმე სოფლად; 14. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 15. სპილენძის შენადნობი ტყვიასა და კალასთან; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 19. სვან მამაკაცთა ცეკვა; 20. ხელოვნური აბრეშუმი; 21. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა